ლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

5 იანვარი
ხუთშაბათი

Коллекция
Кал. Федисова
Грузинская

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4. რედაქტორი იღებს
ყოველ დღე გარდა კვირა
უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476. მდივნის
№ 1 საერთო №

№ 4 ხუთშაბათი, 5 იანვარი, 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 5 იანვარი, 1922 წ. № 4

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100 000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

პარტიული ყრილობისათვის

ი იანვარს ქ. თბილისში გაიხსნება რთველოს კომუნისტური პარტიის ველი თავისუფალი ყრილობა. ის ვევს ჩვენი რევოლიუციონური ენებლობის მეტად პასუხისმგე- მომენტში.

კვე დაიწყო არჩევნები მუშათა, ხთა და წითელ არმიელთა დეპუ- ების საბჭოების. თბილისში და ამში ეს უკანასკნელები უკვე მო- ბილ არიან და კიდევაც შეუდგენ ბანურ მუშაობას. ასევე მოხდება ე ხანში საქართველოს ყველა ებში და თემებში, და 10 თებერ- ის შემდეგ, როდესაც არჩევნები ყველგან დამთავრდება, მოწვე- იქნება სრულიად საქართველოს ბთა პირველი ყრილობა, ეს ვეინი საქართველოს მუშურ-გლე- ი რევოლიუციის.

მატომ აუცილებელი საჭირო იყო ანწარ, საბჭოთა ყრილობის წინ, ყრებილიყო საქართველოს რევო- უციონური პროლეტარიატისა და რიბ გლეხობის ავანგარდის, საქარ- ველოს კომუნისტური პარტიის ყრი- ბა, რომელმაც უნდა შთაბეროს ოლეტარული კომუნისტური სული ქართველოს მუშურ-გლეხურ სახელ- უფოს უზენაეს ორგანოს. და ეს კი- ვეც ასე ხდება: პარტიული ყრი- ობა იკრიბება.

მან უნდა გაარჩიოს და შესაფერი- გადასჭრას მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვან ამოცანებისა, რომელიც ელი სიგრძე სიგანით წამოჭრილან ეს საქართველოს ახალგაზრდა მუ- რ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლე- წინაშე. მან უნდა გამოიმუშაოს ერი სამოქმედო ხაზი და მოქნილი ხილი ტაქტიკა მუშურ-გლეხური ლისუფლების შესანარჩუნებლათ და ამტკიცებლათ. მან ყოველმხრივათ და აწონ-დაწონოს, გაარჩიოს, ალ- ხოს ყველა დაშვებული შეცდომე- და საერთოდ ერთგვარი ჯამი გაუ- ოს მთელი 9 10 თვის განმავლო- ში წარმოებულ პოლიტიკურ და ნომიურ აღმშენებლობითი მუშა- ბას საქართველოში.

ჩვენი პარტიის წინაშე დღეს სულ ა ამოცანებია წამოჭრილი, ვიდრე ბჭოთა ხელისუფლების გამოცხადე- დე, ე. ი. მენშევიკების ბატონობის ს როდესაც უმთავრესათ ჩვენი შაობა იქეთკენ იყო მიმართული, ომ როგორმე დაგვემხო „სოციალ“- მქლების, მენშევიკების ბატონო- . დღევანდელი ამოცანები უფრო ბეჭა და გაცილებით რთულია, ვი- წინანდელი. წინათ ჩვენი პარ- ს მუშაობას უფრო და გაცილე- ი რღვევისა და ნგრევის ხასიათი ნდა, რამდენათაც ის მიმართული მაშინ არსებულ წესწყობილების ბოლმდე, ვიდრე დღეს, როდესაც ტიას უხდება ძველის ნანგრევებზე ხის აგება, და უმთავრესათ ახალი კონომიური ურთიერთობის.

მიტომაცაა, რომ დღეს პარტიის ოლობის დღის წესრიგში დასმუ- ისეთი რთული ამოცანები, რო- იცაა ახალი ეკონომიური პოლი- და მისი გატარების პირობები ჭოთა საქართველოში, სადღეღ- ლო და სასურსათო პოლიტიკა, ნული საკითხი საქართველოში, ეპერაცია და სხვ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გა- ისა და დასუსტების დროს პარ- რომა ყრილობამ უნდა იხელმძღვა- ს და გაითვალისწინოს არა მარ- საქართველოს გამოცდილება,— უმთავრესათ საბჭოთა რუ- ს, სადაც გაცილებით უფრო აღრე აწარმოებენ ამ პოლიტიკას და სადაც ასე თუ ისე, მაგრამ მაინც მკვიდრი და მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი. და გაითვალისწინოს, ყოველმხრივათ, როგორც მისი დადებითი მხარეები, ისე უარყოფითაც, ვინაიდან მხოლოთ მაშინ შეიძლება ღირსეულათ და უტყუარათ იქნეს ის დაფასებული და აწონილ-დაწონილი. რუსეთში დღეს ბევრს ლაპარაკობენ ამ პოლიტიკის ბურჟუაზიულ დამახინჯებაზე, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც აქვს ადგილი. ამას კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეს მთავარი ძარღვია დღეს მთელი მუშურ გლეხური სახელმწიფოს აღმშენებლობის, მისგან გამომდინარეობს ყოველი დანარჩენი პოლიტიკა. ამიტომ ის მოითხოვს მეტად სიფრთხილით მოპყრობას რათა არ შევსცუროთ მეორე უკიდურესობაში, სახელდობრ ბურჟუაზიულში, რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოთ და მარტო ბურჟუაზიისათვის და მეტად საზარალო კი პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ასევე ითქმის დანარჩენ კითხვებისა და ამოცანების შესახებაც, და განსაკუთრებით ნაციონალურ საკითხის შესახებ. უნდა მოვექცეთ ისე, რომ ჩვენს დაუნდობელ მტრებს, რომლებითაც გარშემორტყმული ვართ, არ მივსცეთ არავითარი პროვოკაციის საშუალება.

რასაკვირველია პარტიული ყრილობა, რომელიც ფაქტიურათ პირველი უყრის საფუძველს ჩვენს პარტიას, არ დაკმაყოფილდება ამ, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთავარი ამოცანებით. პირიქით მან უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს და კიდევაც მიაქცევს პარტიულ ორგანიზაციულ აღმშენებლობის საკითხს, ვინაიდან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სიძლიერე და სიმტკიცე დამოკიდებულია პარტიის ორგანიზაციულათ სიმტკიცეზე; ძლიერია პარტია, ძლიერია მუშური სახელმწიფოც. ამიტომ რაც შეიძლება მჭიდროთ უნდა შევაკავშიროთ პარტიული რიგები. მაგრამ ამისათვის საშუალებაც შესაფერისი უნდა იქნეს გამონახული.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ჩვენ ვიმყოფებით არა, ეგრედწოდებულ „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში, არამედ მშვიდობიანერში. და ამიტომ ის ძველი წესებით და მეთოდებით ხელმძღვანელობა, რომლებიც საჭირო და აუცილებელი იყო „სამხედრო“ პერიოდში, ვინაიდან გარშემო გაფართოებული სამოქალაქო ომები იყო გამართული, დღეს შეუძლებელია.

დღეს ჩვენ გვჭირია კულტურულათ ამაღლებული და სალათ მოაზროვნე პარტიის წევრები. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა პარტიის წევრები არ არიან ერთნაირი პსიხოლოგიის და სხვ სულიერი თვისების. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის, და არა წმინდა და სრული [illegible] პერიოდის ადამიანები. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის წევრების კულტურულ და სულიერ აღზრდას.

ვიმედოვნებთ, რომ პარტიული ყრილობა ღირსეულათ გადაჭრის მის წინაშე დასმულ ყველა ამოცანებსა და კითხვებს, რითაც მტკიცე, შეურყეველ საფუძველს ჩაუყრის საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მით პროლეტარიატის დიქტატურასაც.

* * *

საბინაო საკითხი

საბინაო საკითხმა მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო ჩვენ ქალაქში. ცნობილ გარემოებათა გამო ცხოვრების ყველა დარგი განიცდის დღეს საერთო კრიზისს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მშრომელი მასების ფართო თვითმოქმედებით და სახელმწიფოებრივი ორგანოების ენერგიულად საქმეში ჩარევით ხშირად ნელდება დამღუპველი შედეგები ამ კრიზისისა და ზოგიერთ სფეროებში ჩვენ ვამჩნევთ კიდევაც მდგომარეობის ცოტათ თუ ბევრად საგრძნობ გაუმჯობესებას. არის მხოლოდ ერთი დარგი, რომელიც თავის ძველ საშუალებათა განუვითარებლობის, მათი ერთ დონეზე დარჩენის მიუხედავად, იძულებულია მაინც აკმაყოფილოს სულ უფრო და უფრო გადიდების გზით მიმდინარე მოთხოვნილებანი დიდი ქალაქისა. ეს ხდება საბინაო საქმეში. სახლების შენება ქალაქში თითქმის შეწყვეტილია. დამოკიდებულება სახლების შენების შემთხვევებისა ომამდე და დღეს უდრის 10:1. მასალის სიძვირის და რამოდენიმეთ ძველი საბინაო პოლიტიკის გამო ფონდი თავისუფალი ბინების თანდათან მცირდებოდა და ის არავითარ დამოკიდებულებაში არ იყო იმ მოზღვავებულ საჭიროებასთან, რომელსაც ადგილი აქვს განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში. მან მიაქცია საყოველთაო ყურადღება ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა ფართო და დაინტერესებულ მასებს და, ბუნებრივია, რომ ის შეიქნა თფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს ერთ-ერთ პირველად განსახილველ საგნად. სავალდებულო დადგენილებაში, რომელიც მიიღო საბჭომ ამ საკითხის შესახებ, ქალაქის საბინაო მდგომარეობა გამოცხადებულია კატასტროფიულათ. ამ განსაკუთრებულ მდგომარეობის შესასრულებლათ და კრიზისის შესასუსტებლათ საბჭომ გადასწყვიტა უფრო ენერგიულათ გაატაროს უკვე წინადაც შემუშავებული ზომები ამ სფეროში. მათ შორის ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმათ აღკრძალული აქვს ყველას, ვინც თბილისთან არ არის დაკავშირებული სამსახურის გამო, შემოვიდეს ქალაქში მუდმივ საცხოვრებლათ. ეს ზომა მიჩნეულია კარგა ხანია შედარებით მიზანშეწონილათ, მიუხედავათ ამისა დღემდე ის არ ტარდებოდა, ან უკეთესათ რომ ვთქვათ, ვერ ტარდებოდა ცხოვრებაში. ქალაქს და განსაკუთრებით ისეთს, როგორიც არის ჩვენი და მეზობელ ქვეყნებისათვის თბილისი, აქვს ძლიერი მიმზიდველობა, რომელიც აიხსნება არა მარტო საქმიანობის მოსაზრებით, რაც თავისთავათ ბუნებრივია, არამედ სხვა მოტივებითაც, რომლებსაც ძალიან ცოტა აქვთ საერთო ნაყოფიერ მოღვაწეობასთან სახელმწიფოს სასარგებლოთ. თუ დღემდე მოუხერხებელი ხდებოდა სათანადო ზომების მიღება, დღეს ამ გზაზე გადაჭრითა და გაბედულათ უნდა დავდგეთ და ამ მიმართულებით უნდა ამუშავებულ იქნეს სათანადო ორგანოები თბილისის საბჭოსი.

ეს იქნება ერთი შესაფერისი პრაქტიკული დასკვნათაგანი კატასტროფიული მდგომარეობის ცნობიდან. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ სამწუხაროთ იძულებული ვხდებით დროებით შევაჩეროთ ახალ დაწესებულებათა გახსნა რა რიგ სასარგებლოც არ უნდა იყვნენ ისინი სახელმწიფოსთვის, ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოებრივობისათვის. რასაკვირველია, აუცილებლათ საჭირო შემთხვევები გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ხელისუფლების ორგანოებს, რომელთა სპეციალური ნებართვის შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში საჭირო იქნება ამ აუცილებელი დადგენილების გვერდის ავლა. მაგრამ ეს იქნება ისეთი გამონაკლისი, რომელიც ვერ შეარყევს დროებით მიღებულ პრინციპს. ვადა ამ ზომის და მისი გატარების მასშტაბი დამოკიდებული იქნება სხვათა შორის იქიდგან თუ რამდენათ მოსახერხებელი დარჩება განხორციელდეს ის სხვა ზომები, რომელიც მიღებულია საბჭოს მიერ: დაწესებულებათა განყოფილებების შემცირება. ერთ რადიკალურ საშუალებათ ჩაითვლება ახალი აღმშენებლობის ხელის შეწყობა. ვრცელი პროექტი ამის შესახებ უკვე არსებობს და ახლო მომავალში საბჭო მოწოდებული იქნება მისი დაწვრილებით გარჩევის შემდეგ შეუდგეს პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოძებნას, რომელიც გაადიდებს რამოდენიმეთ ჩვენ საბინაო ფონდს და საშუალებას მისცემს ქალაქს დააკმაყოფილოს თავის მრავალმხრივი აუცილებელი მოთხოვნილებანი ამ დარგში.

საბინაო საკითხი ერთი მეტათ მტკივნეულ ადგილთაგანია ჩვენი ქალაქის დღევანდელი ყოფა ცხოვრების, ქალაქის საბჭო შეუდგა მის მოგვარებას თითქმის თავის მოღვაწეობის დაწყებიდანვე. ჩვენ ვისურვებთ, რომ მის გადაწყვეტილებას ამ ფრიად ძნელ საქმის მოსაწესრიგებლათ აემუშავებიოს უფრო ენერგიულათ და მეტი დაჟინებით სათანადო დაწესებულებები, რომლებსაც უკვე ახლო წარსულის პრაქტიკით აქვთ საკმაო გამოცდილება ამ დარგში. ქალაქის მცხოვრებთა სოლიდარული დახმარებით და ხელის შეწყობით ჩვენი საბჭოს კომუნალური განყოფილება, დარწმუნებული ვართ, მაგარი ხელით შეუდგება საბინაო საქმის მოგვარებას და ააცილებს ქალაქს საშინელ შედეგებს გამოცხადებული კატასტროფიული მდგომარეობისას.

გამარჯვებისაკენ

საკითხი იმის შესახებ, შევინარჩუნებთ თუ არა ჩვენ საბოლოოთ ძალაუფლებას, ეხლა არ დასმულა ჩვენს წინაშე. ამის შესახებ ჩვენი პარტია და მისი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდისაც ფიქრობდენ, ვინაიდან ცხადია, რომ საქმე მარტო ერთდროულ გამარჯვებაში კი არ არის, არამედ ამ გამარჯვების საბოლოოთ შენარჩუნებაში, მრავალ მოწინააღმდეგეთა თავდასხმების მოგერებაში. ჩვენი მტრები, არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ ე. წ. „სოციალისტური“ ბანაკიდანაც ფიქრობდენ, რომ ბოლშევიკების ბატონობა ორ კვირასაც ვერ გასტანს და რომ მათი ძალა-უფლება სულ მალე დაემხობა. მიუხედავათ მათი ასეთი წინასწარმეტყველებისა საბჭოთა მთავრობამ იდღესასწაულა თავისი არსებობის ოთხი წლის თავი. მარტო ეს ფაქტი რათ ღირს. არც ერთ რევოლიუციონურ მთავრობას ამდენხანს არ უცოცხლია არც ერთ ქვეყანაში. რუსეთში ეს ფაქტია. როდესაც დღეს ადამიანი უკვირდება რუსეთის რევოლიუციის დინამიკას განცვიფრებაში მოდის. როგორი კინემატოგრაფიულებური სისწრაფით იცვლებოდა მოვლენები და როგორ ჟღებდა ბოლოს ყოველივე ამათ—ტვინი რუსეთის რევოლიუციის—კომუნისტური პარტია. აურაცხელი მტრები იდგენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაღმდეგ, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი კონტრრევოლიუციის სახით. იყო ისეთი წუთები, როდესაც მოსკოვის და პეტროგრადის ბედი ბეწვზე ეკიდა. რომ სხვაფერ განვითარებულიყო მოვლენები მტრები დაამხობდნენ საბჭოთა მთავრობას, ხელში ჩაიგდებდენ რევოლიუციის ცენტრებს—მოსკოვს, პროლეტარულ პეტროგრადს და ამ ქალაქებში დააყენებდენ სისხლის ღვარს, ამართავდენ სახრჩობელას, ერთის სიტყვით, განმეორდებოდა პარიზის კომუნის ტრაგიკული ბედი უფრო გრანდიოზული და საზიზღარი მასშტაბით. ასეთი შემთხვევაც იყო, რომ წმინდა მამები ფინლიანდიაში ერთმანეთს ცხვირპირს ამტვრევდენ იმის გამო, რომ ვინ უნდა ყოფილიყო იუდენიჩის გამარჯვების შემდეგ (და ეს ხომ იმათ ღრმათ სწამდათ!) პეტროგრადის ოლქის სამწყსოს სულიერი გამგე.

მაგრამ ისტორიული ჩარხი სულ სხვაფერ შემოტრიალდა, პროლეტარიატის სასარგებლოთ და მისი მტრების სამწუხაროთ. პროლეტარული რევოლიუციის სალ კლდეებზე მიიმსხვრა ყოველივე ცდა გაჩხეცებული კონტრ რევოლიუციისა. ამათ ცდილობდა კონტრევოლიუციის ზღვა თავისი ტალღებით საბჭოთა რესპუბლიკის წითელი კუნძულის დაფარვას! მოსკოვის კრემლში ჩაბუდარ „ავი სულების“ იქიდან ამოგდება ვერ შესძლეს, მიუხედავათ უსაზღვრო სურვილისა. ამრიგათ საბჭოთა რესპუბლიკა სამი წლის საშინელი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, თავისი ქვეყნის უღირსი შვილები დენიკინი, იუდენიჩი და სხვ. იმათი ბანდებით შორს გადაჰყარა და გათამამებულ გარეშე იმპერიალისტურ ქვეყნებსაც ამოღებული მახვილი ქარქაშში ჩააგებინა. დღეს რუსეთი იმყოფება ე. წ. მშვიდობიან პერიოდში და მის წინაშე მთელი სიგრძე სიგანით წამოიჭრა საკითხი წარმოების აღორძინების შესახებ. სამხედრო ფრონტებზე გამარჯვება უდავო ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ გამარჯვება ახალ ეკონომიურ ფრონტზე არც ისე ადვილი საქმეა. ამ ეკონომიურ საკითხის გადაწყვეტა ერთი ან ორი წლის საქმე არ არის. აქ საჭიროა ხანგრძლივი, ენერგიული მუშაობა. გავიმარჯვებთ ამ ფრონტზე და ამით ვუზრუნველყოფთ ჩვენს წარსულ გამარჯვებებს, თუ არა? ამ გამარჯვებაზეა დამოკიდებული საბჭოთა მთავრობის არსებობა. სოციალისტური მეურნეობის აგება შეიძლება მსხვილი მრეწველობის ნიადაგზე. მსხვილი მრეწველობა კი რუსეთში დაეცა ამ სამოქალაქო ომის ხანაში. გაჩერდა მრავალი ფაბრიკები ნედლი მასალის, სათბობი მასალის და სხვ. უქონლობის გამო.

პოლიტიკური გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ მისი შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, შევსძლებთ თუ არა ჩვენ ამოვაშენოთ პოლიტიკური წყაროების შესაფერი ეკონომიური საფუძველი, შევსძლებთ თუ არა მსხვილი მრეწველობის კვლავ აღდგენას და ფაბრიკული წარმოების გაჩაღებას. ამ მიზანს ემსახურება ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელზედაც დღეს ასე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ბევრს კი არ ესმის მისი შინაარსი ან სულ სხვა და სხვა ნაირათ ესმის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა საბჭ. მთავრობის და კომპარტიის პასუხია დასმულ საკითხზე ეკონომიურ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. ყოველი ნაბიჯი ფასდება იმით თუ რა შედეგი მოაქვს მას. მოიტანა თუ არა ამ ახალმა პოლიტიკამ ეკონომიურ სფეროში დადებითი შედეგი? დიახ, მოიტანა და ამის უარყოფა დღეს ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც არ შეუძლიათ. ფაბრიკები ამოძრავდა, მოდუნებულ პროლეტარულ ცხოვრებას დაეტყო გამოცოცხლება. იზრდება შრომის ნაყოფიერება და მუშებიც უფრო უკეთეს პირობებში ცხოვრებენ ვინემ უწინ. მრავალი ფაქტების, მრავალი სტატისტიკური ცნობების მოყვანა შეიძლება, რომლებიც აშკარათ გახიდიან შრომის ნაყოფიერების ზრდას, მაგრამ ჩვენ ამ ჟამათ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მარტო ქვანახშირის წარმოებას დონეცის ბასეინში. ავალაპარაკოთ თვით ციფრები. 1921 წ. ქვანახშირის ამოღება უდრიდა:

იანვარში — 23,5 მილ. ფუთს
თებერვალში 29,5 „ „
მარტში — 33,1 „ „
აპრილში — 30,1 „ „
მაისში — 24,7 „ „
ივნისში — 18,0 „ „
ივლისში 9,1 „ „
აგვისტოში 11,3 „ „
სექტემბერში 18,4 „ „
ოქტომბერში 33,0 „ „

ოქტომბრის განმავლობაში წვრილ საწარმოვო დაწესებულებებში ამოღებულია 5—6 მილ. ფუთი ქვანახშირი. ასე რომ მთელი თვის განმავლობაში ამოღებულია 33—39 მილ. ფუთი. შეადარეთ ოქტომბრის განმავლობაში მოპოებული ქვანახშირის რაოდენობა ივლისის რაოდენობას! რაოდენ განსხვავებაა მათ შორის! რა არის მიზეზი ასეთი ცვლილების, წარმოების ასეთი ზრდის? საქმე აქ მუშების რაოდენობაში სრულებით არ არის. საქმე თვით მუშის შრომის ინტენსივობაშია. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება მარტში უდრიდა 1,958 ფ. ქვანახშირს, ოქტომბერში 3,300 ფ. ეხლა შეადარეთ ეს ციფრები 1914 და 15 წლების ციფრებს. შრომის ნაყოფიერება თვეში თითოეული მუშის 1914 წ. უდრის 3,358 ფ., ხოლო 1915 წ.—3000 ფ. ერთის სიტყვით შრომის ნაყოფიერება გაუსწორდა მსოფლიო ომამდის არსებულ ნაყოფიერებას. რაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ასეთი შრომის ინტენსივობისა? პასუხი ერთია—ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში. მსხვილ საწარმოვო დარგებს ექცევა მთავარი ყურადღება და მათვე ეძლევა უზრუნველყოფა პურით და სხვ. საგნებით. შემოღებულია კოლექტიური მომარაგება, შრომის ინტენსივობის მიხედვით მუშის დაჯილდოვება და სხვ. ასეთმა პოლიტიკამ სხვა საწარმოვო დარგებში შესამჩნევი ცვლილებები მოიტანა. თვით დონეცის ბასეინის გამოცოცხლება ეს მთელი მრეწველობის გამოცოცხლების თავდებია. თუ კვლავ პოლიტიკური ჰორიზონტი არ მოიღრუბლა, თუ კვლავ არ შეიქნა მრეწველობის აღორძინებისათვის არახელსაყრელი კონიუნკტურა, მაშინ ეკონომიური ცხოვრების აღორძინება დიდის სისწრაფით წავა წინ და ეს ახალ საფუძველზე, ახალი სისტემით. დასავლეთში ეკონომიური დაცემა, უმუშევრობა, უდიდესი კლასიური ბრძოლების ქარტეხილი, აქ, რუსეთში—მშვიდობიანი აღმშენებლობა, სამხედრო გამარჯვება, გამარჯვებათა მთელი რიგი ეკონომიურ ფრონტზე, ცხოვრების აღმშენებლობა ახალ წესზე, რუსეთის მუშების და გლეხების გმირული ბრძოლის ისტორია წარსულში, იმათი თავგანწირულება აწმყოში და მომავალში თავდებია იმის, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ ეკონომიურ ფრონტზედაც და ბრძოლის დროშას გავიტანთ სამშვიდობოზე.

ქ. ორაგველიძე.

ქ. მოსკოვი.

სპარსეთი და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები

საუბარი სპარსეთის მთავრობის საგანგებო მისიის მეთაურ ბ. მომტაზ-უდდოვლესთან

ორშაბათს, 2 იანვარს ჩვენი თანამშრომელი მიიღო თბილისში ახლახან ჩამოსულმა, სპარსეთის მთავრობის საგანგებო მისსიის მეთაურმა ბ. მომტაზ-უდდოვლემ და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

ჩვენი თანამშრომლის თხოვნით ბ. საგანგებო ელჩმა გააცნო იგი მიზნებს, რომელნიც დგანან საგანგებო მისსიის წინაშე; და სპარსეთის მთავრობის შეხედულებებს სპარსეთსა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებ შორის ურთიერთობის შესახებ.

რუსეთის და სპარსეთის ურთიერთობა ომიანობამდე თქვენ, იგულისხმება, კარგად მოგეხსენებათ,—სთქვა ბ. მომტაზ-უდდოვლემ. ომის შემდეგ, რუსეთის დიდი რევოლიუციის დროს, შეწყდა უშუალო კავშირი სპარსეთსა და რუსეთს, აგრეთვე სპარსეთსა და იმ რესპუბლიკებ შორის, რომელნიც წინეთ შედიოდნენ რუსეთის შემადგენლობაში. სპარსეთის და რუსეთის დამოკიდებულებანი მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოურკვეველი იყო. მაგრამ რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ მრავალჯერ გაკეთებულ განცხადებების შემდეგ აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, და განსაკუთრებით 1918 წ. 14 იანვრის დეკლარაციის შემდეგ, რომელიც ხელმოწერილი იყო ბ. ტროცკის მიერ,—სპარსეთის ხალხი დარწმუნდა, რომ რუსეთის სახით მას ყავს მისდამი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო. ამ დეკლარაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ის არსებითად ცვლიდა ურთიერთობას რუსეთსა და აღმოსავლეთის ხალხებს, კერძოდ—სპარსეთს შორის. და სპარსეთის მთავრობამ პირველად იცნო რევოლიუციის მიერ წამოყენებული რუსეთის საბჭოთა მთავრობა და დასდო მასთან ცნობილი ხელშეკრულება.

რუსეთის მთავრობის ხსენებულმა დეკლარაციამ გამოიწვია სიმპატიები რუსეთის ხალხისადმი არა მარტო სპარსეთში, არამედ მთელ აღმოსავლეთშიაც, სადაც სპარსეთის კულტურას აქვს თავისი გავლენა.

მაშინვე გადაწყდა გამოგზავნილიყო საგანგებო მისსია კავკასიაში, რათა გამოერკვია დამოკიდებულება კავკასიის რესპუბლიკებთან.

ვიმეორებ,—ფრიად ძლიერია ჩვენი და მთელი აღმოსავლეთის სიმპატიები რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა მთავრობამ დამაკისრა დიდი ვალდებულება—გადაჭრა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად იმ ამოცანებისა ჩვენი ურთიერთობათა სფეროში, რომელნიც დგანან ამ ჟამად დღის წეს-რიგში.

აქ მდგომარეობასთან უშუალოდ გაცნობამ დამარწმუნა, რომ ბევრი რამ არის საერთო სპარსეთის და ამიერ-კავკასიის ხალხების კულტურაში,—და ეს გარემოება ცხადია აადვილებს ჩვენს მუშაობას.

ამ ჟამად პირველ რიგში წამოყენებულია ეკონომიური პრობლემები, რომელთა გადაჭრა ეჭვი არ არის გამარჯვებით დათავდება და საბოლოოდ დააახლოვებს სპარსეთის ხალხს ამიერ კავკასიის ხალხებთან.

ჩვენი უახლოესი მიზნები შემდეგში გამოიხატება:

სპარსეთსა და ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებ შორის ფაქტიურად უკვე არსებულ მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცება; ეკონომიური საკითხების უფრო წარმატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სპარსეთის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომლის მიზანია ამ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

პირველ თებერვლისათვის იწვევენ საქართველოს პროფკავშირთა ყრილობას.

რუსეთსა და სკანდინავიის სახელმწიფოთა შორის წარმოებს მოლაპარაკება ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

ვაშინგტონის კონფერენცია თავის მუშაობას დაასრულებს 14 იანვრისათვის.

ბით განხორციელება ცხოვრებაში ურთიერთი ინტერესებისათვის,—საქონლების-სპარსეთის საქონლის ტრანსპორტისა ამიერ კავკასიით, საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და სხვა.

სპარსეთი დაინტერესებულია სასწრაფოდ ეკონომიურ კავშირის დამყარებაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან. კავკასია იყო ბაზარი სპარსეთის საქონლის—უმთავრესად ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებისათვის. ამ ჟამად სპარსეთს შეუძლია მოაწოდოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს მნიშვნელოვანი რაოდენობის სურსათ სანოვაგე, იგი უკვე გზავნის აქეთ საკვებ პროდუქტების მნიშვნელოვან პარტიებს. ამ გვარად ჩვენი ეკონომიურ დამოკიდებულებათა სასწრაფოდ ჩამოყალიბება აგრეთვე სავსებით შედის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ინტერესებში.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვებზე საპასუხოდ, ბ. მომტაზ-უდ-დოვლემ სთქვა:

იმ ხნის განმავლობაში, როცა სპარსეთს არ ჰქონდა უშუალო შესაძლებლობა დამოკიდებულების დაჭერისათვის რუსეთთან, და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან,—დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტებმა შესძლეს რამოდენიმედ განემტკიცებინათ თავიანთი ეკონომიური პოზიციები სპარსეთში. საქონელს ეზიდებოდნენ სპარსეთში ან გაქონდათ აქედან სამხრეთის სამი გზით: სპარსეთის ყურეთი, ბაღდადით და ტრაპიზონით. სპარსეთსა და ამიერ-კავკასიას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებით ძალიან შეირყევა ამ გზების როლი და მნიშვნელობა. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია: სპარსეთის ხალხი შეეჩვია რუსულ ფაბრიკატებს, შეეჩვია საქონლის მიწოდებას ჩრდილოეთიდან და იქეთ თავის პროდუქტების გზავნას. ეს მისთვის უფრო ადვილია და ხელსაყრელი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ რუსეთის და ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობაზე, საბჭოთა რესპუბლიკების ინიციატივასა და საქმიანობაზეა დამოკიდებული, საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოგვარება სპარსეთთან და გარიყვა იმ ფაბრიკატებისა, რომლებსაც ეზიდებიან სპარსეთის ყურეს სანაპიროებისაკენ.

უკანასკნელ კითხვაზე ბ. მომტაზ-უდ-დოვლემ უპასუხა, რომ უკვე წარმოებდა წინასწარი მოლაპარაკება საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, და კონფერენციის ადგილად არჩეულია თბილისი. საბჭოთა აზერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენელნი უკვე ჩამოვიდნენ თბილისში, და უახლოეს დღეებში კონფერენცია შეუდგება მუშაობას.

იგულისხმება, ტრანსპორტის აღდგენის შემდეგ, სპარსეთის სავაჭრო და სხვა ეკონომიურ ურთიერთობის ზრდასთან ერთად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, თანდათან გაიზრდება და განმტკიცდება მეგობრობის და სოლიდარობის გრძნობა სპარსეთის და ამიერ-კავკასიის ხალხებ შორის.

საბჭოთა რუსეთი და სკანდინავია

რუსეთ-შვეციის მოლაპარაკება.

მოსკოვი, 4 იანვარი (რადიო). სტოკჰოლმის ცნობებით შვეციის გაზეთმა „სვენსკა ტაგებლატედ"-მა მიმართა ვაჭრობის მინისტრს სვენსონს შეკითხვით კერჟენცევის განცხადების გამო იმის შესახებ, რომ რუსეთ-შვეციის მოლაპარაკებაში უმთავრესი ადგილი უკავია შვეციის მიერ რუსეთის ცნობას არა თუ დე-ფაქტოდ, არამედ დე-იურეთაც. სვენსონმა დაადასტურა, რომ შვეციის დამოკიდებულების საკითხი რუსეთთან დასმულია მთელი თავისი სიგრძე სიგანით. მოლაპარაკების შედეგებზე მინისტრმა ჯერ კიდევ ვერაფერი გარკვეული ვერ სთქვა.

სტოკჰოლმის ცნობებით შვეციის [illegible] ტარმა ხენიგსმა განუცხადა შვეციის პრესის წარმომადგენელს, რომ რუსეთ-შვეციის მოლაპარაკება ვითარდება სრულიად ნორმალურად და შემთხვევითი შეწყვეტის შემდეგ ის განახლდება იანვარში უქმეების შემდეგ. შვეციის ხელშეკრულების რიგსდაგში გადაცემის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, იქნება თუ არა ხელშეკრულებაში შეტანილი ისეთი საკითხები, რომლებიც შედის რიგსდაგის კომპეტენციაში. მაგ. 1911 წელს გერმანიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ირჩეოდა რიგსდაგში, რადგანაც ის ეხებოდა საბაჟო ურთიერთობას გერმანიასა და შვეციას შორის.

საუბარი ამხ. კერჟენცევთან.

მოსკოვი, 4 იანვარი (რადიო). მოსკოვში ჩამოსულმა საბჭოთა რუსეთის ელჩმა შვეციაში ამხ. კერჟენცევმა საუბარში განაცხადა შემდეგი:

მოლაპარაკება შვეციის მთავრობასთან ხელშეკრულების შესახებ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ძველი მთავრობა ყოველნაირად აჭიანურებდა მოლაპარაკების დაწყებას. ახალმა მთავრობამ მაცნობა მე, რომ ის მზადაა დაუყონებლივ დაიწყოს მოლაპარაკება და დანიშნა ამისათვის კომისია ყოფილი საგარეო საქ. მინისტრის ტრელეს თავმჯდომარეობით. შვეციის მთავრობასთან მოლაპარაკებაში დასახულია ხელშეკრულების სხვა და სხვა ვერსია და მათ შორის საბჭოთა მთავრობის სრული ცნობა და განახლება დიპლომატიური და პოლიტიკური დამოკიდებულებებისა. იანვრის შუა რიცხვებში შეიკრიბება შვეციის პარლამენტი, რომელსაც ალბათ დასჭირდება მოლაპარაკების შესახებ თავის აზრის გამოთქმა. უნდა აღინიშნოს, რომ შვეციის მცხოვრებლების სხვა და სხვა წრეებში ემჩნევა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცების სურვილი. ამ მოვლენის დამადასტურებელია საკმაოდ გაცხოველებული მუშაობა ვოლგის დამშეულთა დასახმარებლათ.

რაც შეეხება რუსეთ-დანიის მოლაპარაკებას, რომელიც მოთავსებულ იყო დეპეშებშიც, ის შეწყდა თითქმს ხელის მოწერის წინა დღეს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სკავენიუსის ინსტრუქციის თანახმად მოლაპარაკების ჩაშლის საბაბათ გახდა ჩემი კატეგორიული უარი ხელშეკრულებიდან იმ მუხლის ამოშლაზე, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა კოპენგაგენში იქნება ერთად ერთი წარმომადგენლობა რუსეთისა დანიაში. ამ მუხლს მე მოლაპარაკების დროს ყოველთვის ვიცავდი, რადგანაც დანიაში ბევრია განსაკუთრებით ყოფილ მეფის ერთგულები, რომლებიც გამოდიან რუსეთის ხალხის სახელით. კოპენგაგენი კიდევ ის ადგილია, სადაც კეთდება თეთრგვარდიელთა და მონარქისტების საქმეები, იგზავნება ფული, აგენტები, აძლევენ პასპორტებს, ვიზებს და სხვ. ჩაშალეს რა დასრულებული მოლაპარაკება, სკავენიუსმა აცნობა პრესას, რომ ის შეწყვეტილია რადგანაც თითქმის საბჭოთა რუსეთმა წამოაყენა მიუღებელი ეკონომიური პირობები. მე დაუყონებლივ უარვყავი ეს ცნობა და აღვნიშნე მოლაპარაკების შეწყვეტის ნამდვილი მიზეზი. დანიის მრეწველებმა თავის მხრივ ოფიციალურად აცნობეს სამინისტროს, რომ ხელშეკრულების კომერციული პირობებს მათთვის ისინი სცნობენ მისაღებად. მოლაპარაკების ჩაშლის გარშემო დაიწყო გამწვავებული პოლემიკა. სოც. დემოკრატებმა პარლამენტში შეიტანეს შეკითხვა,—მოხდა აღელვებული სხდომების მთელი რიგი.

დანიის გაზეთების ცნობით ახლო მომავალში სამინისტროში მოხდება ცვლილებები; ამასთან ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი მომხრე იქნება რუსეთთან დაახლოვების. როგორც სწერს დანიის ერთი გაზეთი „მოლაპარაკება კერჟენცევთან ერთად განახლდება დაუყონებლივ იმის შემდეგ, როდესაც სკავენიუსი ჩაჯდება ხომალდში და გაემგზავრება თავის დანიშნულების ადგილზე".

რაც შეეხება ნორვეგიასთან ხელშეკრულებას, ის ძალაშია შესული და უკვე ხორციელდება ორივე მხარისგან.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

თეთრ ფინელთა სიმხეცენი.

მოსკოვი, 31 დეკემბერი (რადიო). „ფინეთის გაზეთი" გადმოგვცემს სურათს თეთრ ფინელების მიერ 4 კომუნისტის დახვრეტისას მოსაზღვრე რაიონში. მოსახლეობა ამაოდ შესთხოვდა კომუნისტების [illegible] ახსოვდა რა გმირების დამსახურება ინგლისელებთან ბრძოლაში 1919 წ. კომუნარები კვდებოდნენ ძახილით: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს!" გაზ. „კომუნა"-მ გამოაქვეყნა კორელია-მურმანის რევკომის მოწოდება მოსახლეობისადმი, რომელშიაც აწერილია თეთრების სიმხეცე.

ფინეთის ინტრიგები.

მოსკოვი, 2 იანვარი (რადიო). სტოკჰოლმში ჩავიდა გენერალი მანკერჰეიმი, რომელიც ცდილობს მიიმხროს კორელიის ავანტიურის სასარგებლოდ თავისი სტოკჰოლმელი მეგობრები; მათ მეთაურობს მისი ძმა, ბარონი მანკერგეიმი.

ერთად მოქმედებენ.

მოსკოვი, 2 იანვარი (რადიო). რუმინიის მთავრობამ, ფინეთის მთავრობის თხოვნით, აცნობა ხალხთა ლიგას, რომ რუმინიამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს ფინეთის მიმართვას ხალხთა ლიგისადმი კორელიის საკითხის შესახებ.

ცრუ რწმუნებანი.

მოსკოვი, 2 იანვარი (რადიო). სოციალდემოკრატების შეკითხვაზე ფინეთის მინისტრი კატეგორიულად უარყოფს ფინეთის მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას კორელიის აჯანყების ორგანიზაციაში. უარყოფს რა ლიტონი სიტყვებით საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულ ფაქტებს, იგი ირწმუნება ფინეთის მშვიდობიანობის მოყვარეობაზე; ფინეთის მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია, რათა ხელისუფლებამ და კერძო პირებმა არ დაუშვან მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამშვიდობო ხელშეკრულებას და საერთაშორისო უფლების ნორმებს.

სინამდვილე.

მოსკოვი, 2 იანვარი (რადიო). ვაზაში მოვიდა სასწრაფო ვაგონი 40 საბარგო ვაგონის შემადგენლობით, რომელშიაც სასწრაფო წესით აწყობენ ფეხებს და სკამებს, წარმოებს სარკინისგზო მასალის მობილიზაცია და მისი თავმოყრა ჯარების დაბანაკების ადგილას. იტყობინებიან, რომ ვილმანსტრანის [illegible] მიიღო ბრძანება [illegible] ზომები გასალაშქრებლად. ფინეთის რკინის გზათა სამმართველო აწყობს შეწირულების მოგროვებას კორელიის სასარგებლოდ. ჰელსინგფორსში დაარსებულ კორელიის დამხმარე მთავარი კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. ქ. კოტკაში მოეწყო მოწყალების დების კურსები,

როგორ მუშაობენ.

მოსკოვი, 1 იანვარი (რადიო). კორელიაზე მტაცებლურ ლაშქრობის მონაწილენი გაურბიან დღისით გადაიარონ საზღვარი და სარგებლობენ ღამის სიბნელით. აჯანყების ორგანიზატორები დადიან ჯგუფ-ჯგუფად და თავს არიდებენ გარეშე პირებს.

ნეიტრალიტეტი.

მოსკოვი, 3 იანვარი (დასაწყისი არ მიგვიღია).. მთავრობამ უნდა აღკვეთოს ასეთი მოქმედება. ფინეთის სეიმი უნდა იდგეს მშვიდობიანობის პოზიციაზე და არ დაუშვას ნეიტრალიტეტის დარღვევა.

ემზადებიან.

მოსკოვი, 3 იანვარი (რადიო). ჰელსინგფორსიდან 31 დეკემბრის თარიღით იტყობინებიან: ყველა სარკინისგზო სადგურებში მიღებულია საიდუმლო განკარგულება, ახალი ტიპის საბარგო ვაგონების მოზიდვის შესახებ საკვანძო სადგურებზე. თადარიგის ზოგიერთი ოფიცრები უნდა იყვნენ მზად და გამოცხადდნენ პირველ დაძახებისთანავე. სანაპირო რაზმი გააძლიერეს რამდენიმეჯერ. საზღვარზე გაგზავნილია მოხალისეთა ახალი რაზმი.

საბჭოთა რუსეთი და ევროპა

უცხოეთის კაპიტალის პერსპექტივები რუსეთში.

ბერლინი, 20 დეკემბერი „ნოვი მირი" იტყობინება: გერმანიაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ნ. ნ. კრესტინსკიმ „ტელეგრაფ უნიონის" თანამშრომელს განუცხადა: „გერმანული კაპიტალისათვის საბჭოთა რუსეთში და მასთან დაკავშირებულ რესპუბლიკებში და განსაკუთრებით კი უკრაინასა და კავკასიაში იხსნება დიდი შესაძლებლობანი კონცესიების აღებით და საქონლის შემოტანით. მიწის ვეებერთელა სივრცეზე კონცესიონერებს შეუძლიათ აწარმოონ მეურნეობა საკუთარი მანქანების შემწეობით. შემოსავალის ნაწილი სასურსათო გადასახადის სახით უნდა მიეცეს საბჭოთა მთავრობას: ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობა ჩაიბარებს ყველა მასალებს საკონცესიო ხელშეკრულების თანახმად. ასეთი კონცესიების აღება შეიძლება ვოლგის მხარეებში, ციმბირში და სამხრეთ რუსეთში. შემდეგ, მხედველობაშია მიღებული სამთო და სატყეო და აგრეთვე ახალი მრეწველობის მოსაწყობი კონცესიები. გერმანიის მრეწველობას შეუძლია აგრეთვე გააძლიეროს საქონლის ტრიალი თავის ფაბრიკატების მიწოდებით საბჭოთა მთავრობისადმი.

რაც შეეხება კერძო საკუთრების იურიდიულ უფლებებს, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისიდან საბჭოთა რუსეთში, აქედან გამომდინარე იურიდიული საკითხები აქამდი წყდებოდენ ცალკე შემთხვევებში განსაკუთრებული დეკრეტებით. ამჟამად კი მზადდება ამ დე-

საქართველოს საბჭო და ამიერ-კავკასიის ფედერაცია

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს", ამბობდა ილია ჭავჭავაძის მოხევე და ამასვე ამბობს დღეს ქართველი ხალხი:

მუშა, გლეხი და ყველა მშრომელი. რას ნიშნავს ეს?

— იმას, რომ საქართველოში ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, მართვა-გამგეობის ისეთი წესი უნდა იყოს, როცა მშრომელ ხალხს, შეეძლება თავისი ყოველგვარი საქმეები **თავის ნება-სურვილისამებრ** განაგოს და გააკეთოს. ასეთი კი ყველა სახელმწიფოებრივ წყობილებათა შორის დღეს არის **მხოლოდ საბჭოთა წყობილება**.

აქედან საქართველოს მშრომელი ხალხი, თუ სურს მას თავის თავს ეკუთვნოდეს, როგორც „მოხევე" ამბობდა, მან უნდა შექმნას საკუთარი საბჭოთა სახელმწიფო, ე. ი. საკუთარი საბჭოების რესპუბლიკა, რომლის მთავარი გამომხატველი ორგანო არის საქართველოს საბჭოთა საერთო ყრილობა და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

მაგრამ დღეს ქართველ ხალხს ესმის, რომ საქართველოს საბჭოსთან ერთად, მის გვერდზე ან უკეთ მის გულში, დედა ქალაქ თბილისში დგება მთელი ამიერ-კავკასიის საერთო მთავრობა, ცხადდება ამიერ კავკასიის ფედერაცია, ე. ი. ამიერ-კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკების კავშირი.

აქედან იბადება კითხვა: არის რაიმე წინააღმდეგობა ამ ორ მთავრობას შორის, თუ არა? საქართველოს საბჭოს ეწინააღმდეგება ამიერ კავკასიის ფედერაცია რაიმეში თუ არა? ერთი სიტყვით ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობა და მოქმედება ხელს შეუშლის და გააქარწყლებს, თუ არა, იმას, რომ ქართველი **ხალხი** „თავის თავს ეკუთვნოდეს"?

საქართველოს მუშა, გლეხი და სხვა მშრომელი რომ „თავის თავს ეკუთვნოდეს" ამისთვის, როგორც ვთქვით, საჭიროა, რომ მან **თავისი საკუთარი საქმეები თითონვე აკეთოს**; ხოლო ამისთვის კი საჭიროა ამის შესაფერი მისი დაწესებულება-ორგანიზაცია საქართველოში ხელშეუშლელათ მუშაობდეს. ეს ორგანიზაცია არის საქართველოს საბჭო და თუ მის მოქმედებას ხელს შეუშლის ამიერ კავკასიის ფედერაცია, ცხადია, საქართველოში ეს ორი დაწესებულება ვერ მოთავსდება და მათ შორის ბრძოლა გაიმართება: ან ერთმა უნდა იარსებოს მაშინ, ან მეორემ.

მაგრამ საქმე ასე როდია. ეს ორი ორგანიზაცია, ეს ორი მთავრობა ერთი მეორეს როდი უპირდაპირდება, არამედ ორივე ერთად უპირდაპირდება ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგობას, მსოფლიო კონტრ-რევოლუციას სადაც და რაშიაც უნდა [illegible] ის.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის საწინააღმდეგოთ მოქმედებს ისე, როგორც რუსეთის და ყველა ქვეყნების მშრომელთა საწინააღმდეგოთ, ბურჟუაზია და მისი ამყოლ-დამყოლი როგორც შინ, ისე გარეთ, როგორც შინაურები, ისე საერთაშორისონი; და აი ამ შინაურ და გარეშე მტრის, კონტრ-რევოლუციის, წინააღმდეგ არის მიმართული ორი ორგანიზაცია: პირველმა—საქართველოს საბჭომ შინაურები უნდა დაითრგუნოს და ალაგმოს, ხოლო მეორემ გარეშეებს—ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებს გზა შეუკრას, მათი იერიშები უკუ აქციოს და მათ ნება არ მისცეს საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ ცხოვრებაში ჩარევისა.

ამნაირათ, როგორც ხედავთ საქართველოს საბჭო და ამიერ-კავკასიის ფედერაცია ერთ საქმეს ემსახურება: ორივე კონტრ-რევოლუციას კრიჭაში უდგას და გასაქანს არ აძლევს. ეს უმთავრესია და უპირველესი. მეორე, საქართველოს მშრომლებს რომ ძალა უფლება ხელიდან არ გამოეცალოთ, რომ მშრომელ ხალხს მოპოვებული პოლიტიკური უფლება, სახელმწიფო ხელთ შერჩეს საბოლოვოთ და ამ გზით საშუალება ჰქონდეთ, რომ „თავის თავს ეკუთვნოდენ", აუცილებლათ საჭიროა სოციალისტური პოლიტიკა ურყევ მაგარ საფუძველზე ავგოს. ასეთი საფუძველი კი, მარქსისტული მეცნიერული თვალსაზრისით მხოლოდ მაგარი **ეკონომიკა**, მტკიცე ეკონომიური მდგომარეობაა.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ დღეს „ქვეყანა დაქცეულია", მისი ეკონომიური მდგომარეობა ერთიანათ დაფუშულარეულია.

მართალია ამ მხრით არც ბურჟუაზიული სახელმწიფოები არიან უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ ეს, ცხადია, ჩვენ არაფერს გვიშველის. თუ მათ დაღუპვამდე ჩვენ დავიღუპებით ამ ეკონომიურ მოშლით, რა თქმა უნდა, ამით მტერი მხოლოდ ისარგებლებს და თავის მდგომარეობას ისევ გაიმაგრებს. მაშასადამე მთელი კითხვა იმაშია, თუ პირველი ვინ დაიღუპება, დაიშლება.

პოლიტიკურათ დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა მეტათ მტკიცეა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ მხრით ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც გამაგრდენ და მათ შესძლეს კიდეც პროლეტარული მოძრაობა შეეჩერებინათ.

ამნაირათ ბრძოლის მთელი ცენტრი ეკონომიურ სფეროში გადატანილი და კითხვა ასე დგას: **ვინ ვის** მოასწრებს, რომ წარმოება აღადგინოს, ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესოს და თავის **პოლიტიკას** საფუძვლათ მაგარი **ეკონომიკა** დაუდვას.

ამ მხრით რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობა განვიხილოთ დავინახავთ, რომ ისინი შეკავშირებული მეტს გააკეთებენ, ვიდრე ცალ ცალკე ბევრი ისეთი საქმეც არის, რომ ცალ-ცალკე თვითეული მათგანი ვერას გააწყობს. მაგალითათ სათბობ მასალის წარმოება, რკინის გზა და სხვა. საქართველომ რომ აზერბეიჯანიდან ნავთი არ მიიღოს, ცხადია, მისი მსხვილი წარმოება და რკინის გზა ერთ დღესაც ვერ იარსებებს და ასე პირიქით თუ აზერბეიჯანმა და სომხეთმა საქართველოს გზით საქონელი არ მიიღო უცხოეთიდან, მათი სიცოცხლე მაშინვე შეწყდება.

ყველა ამ საჭიროებისთვის კი მუშაობს ერთიანი მტკიცე საერთო ორგანიზაცია—ფედერაცია, რომელიც ასეთ მუშაობით ამაგრებს თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას ეკონომიურათ შინ და საშუალებას აძლევს ამ გზით ის პოლიტიკურათაც საბოლოვოთ გამაგრდეს.

მეორე მხრით თვითეული, ცალცალკე რესპუბლიკა, ფედერაციის წევრი როცა ეკონომიური პოლიტიკის საზრიანათ და ნაყოფიერათ წარმოებით **შინ მაგრდება**, მაშინ ის ამით საშუალებას აძლევს ფედერაციას, რომ ის კიდევ უფრო გამაგრდეს და მან მეტი ეკონომიური დოვლათი შესძინოს ცალ-ცალკე რესპუბლიკას და ასე ბოლომდის, ვიდრე საბჭოთა-რესპუბლიკები საერთო მტერზე საბოლოვოთ არ გაიმარჯვებენ. აზერბეიჯანის ნავთის წარმოება თუ კარგათ მოეწყობა, განვითარდება, ამით საქართველოს რკინის გზებიც გაჩაღდება და საერთო ფედერაციაც ეკონომიურათ გამაგრდება, ხოლო ამ **უკანასკნელის გამარჯვება** ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ მდგომარეობაზე საკეთილდღეო გავლენას მოახდენს.

ასევე მოხდება იმ შემთხვევაშიაც, როცა საქართველოს რკინის გზების მდგომარეობა გაუმჯობესდება: ამით გაუმჯობესდება ამიერ-კავკასიის ტრანსპორტიც და აქედან ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობაც.

როგორც ხედავთ აქ, ამ საქმეში ერთნაირათ არის დაინტერესებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკები და მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, პირიქით ისინი შეერთებული ძალით თავთავიანთ საქმეებს იკეთებენ და ამნაირათ თვითეული მათგანი ამ სფეროშიაც „თავის თავს ეკუთვნის".

ბურჟუაზიული ქვეყნის საფუძველს შეადგენს ადამიანისგან ადამიანის ყვლეფა, ექსპლოატაცია: კლასი ყვლეფს კლასს, ერი—ერს, სახელმწიფო სახელმწიფოს; ხოლო პროლეტარიატის ქვეყანა დამყარებულია სოლიდარობასა და ურთიერთ თანამშრომლობაზე. აქ ადამიანი ადამიანს მხოლოთ თანაუგრძნობს და შველის: მუშები, გლეხობა, ხელოსნები და ინტელიგენტები ერთმეორისთვის თანამშრომლობენ. იქ თუ ვინმემ მეტი შესძლო და მეტი გააკეთა, ეს მიდის მხოლოთ მის „კერძო საკუთრებათ", მის კერძო კეთილდღეობისათვის, ამიტომ მას ყველა „ემტერება" და ყველა მის ჩაქოლვას ცდილობს; აქ კი თუ ვინმე მეტს შეიძლებს და გააკეთებს, ეს უმეტესათ ყველას სასარგებლოთ წავა, ამიტომ ის ყველას უყვარს და ყველა მისი ხელის შეწყობას ცდილობს, რომ მან კიდევ მეტი შეიძლოს და მეტი გააკეთოს. ასეა პროლეტარულ ქვეყანაში, როგორც ხალხის სხვა და სხვა ნაწილებ შორის, ისე ერებსა და სახელმწიფოებ შორისაც.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემადგენელი რესპუბლიკები შეკავშირდებიან არა ერთმეორის ან სხვა ვისიმე საექსპლოატაციოთ, არამედ ერთმეორის დასახმარებლათ და სათანამშრომლოთ. ამიტომ არ შეიძლება მათ შორის რაიმე ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა გაჩნდეს.

აქ ერთია მხოლოთ საფიქრებელი, დღევანდელ საერთაშორისო პირობებში ეს ფედერაცია წარმოადგენს ერთ კოლექტივს, რომელსაც კომერციული ურთიერთობა აქვს დაკავშირებული უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, რომელთანაც მას საქონლის აღებ-მიცემობა აქვს გაჩაღებული. ამ გზით მას უგროვდება საერთო საწყობებში საქონელი, ხოლო კასაში ფული, რომელიც მან თავის წევრებს უნდა გაუნაწილოს და თუ მოგება არის, ცხადია, ეს მოგებაც მოკავშირეთა შორის უნდა განაწილდეს და აი აქ იბადება კითხვა: იქნება ეს განაწილებული სამართლიანათ თუ არა? არ ჩაიგდებს ხელში „მეტს" და „უკეთეს" ის მოკავშირე რესპუბლიკა, რომლის წარმომადგენელს, ვთქვათ, ფედერაციის საბჭოში მეტი გავლენა მოუპოვებია, ან ის ხალხი, რომლის წარმომადგენელი ის არის, დიდ ძალას წარმოადგენს და დიდი საჭიროებაც აქვს?

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საბჭოთა სისტემის პრინციპი ფედერაციას ამის საშუალებას არ აძლევს. სხვა საქმეა, როცა ფედერაცია ბურჟუაზიულია, ე. ი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისგან შედგება: აქ, ცხადია, სიკეთე და დოვლათიც ძალების მეტ ნაკლებობის მიხედვით ნაწილდება, ხოლო სულ სხვაა პროლეტარულ ფედერაციაში, ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში: ვინაიდან აქ განაწილების პრინციპიც პროლეტარულია ე. ი. კომუნისტური. აქ ნაწილდება ყოველივე შემდეგი ფორმულის თანახმათ: „**ყველას მისი საჭიროებისამებრ**". ასე რომ თუ საქართველოს სხვაზე მეტი სჭირდება, ის მეტს მიიღებს, თუნდაც მან ნაკლები ძალა დახარჯოს საერთო საქმეზე.

მაშინ ყველა ეცდება ნაკლები დახარჯოს და მეტი მიიღოს, მეტყვიან ზოგიერთები, აქაც ჩვენ გვშველის მეორე კომუნისტური ფორმულა: „ყველამ თავის შეძლებისდაგვარათ", რომლის თანახმათ ფედერაციის ყოველი წევრი ვალდებულია საერთო საქმისთვის იმდენი გაიღოს, რამდენიც კი შეუძლია.

ამნაირათ ფედერაციის ყოველი წევრი—სახელმწიფო—საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკა ვალდებულია საერთო საქმეზე დახარჯოს, რაც შეუძლია, ხოლო უფლება აქვს მოითხოვოს ყველაფერი თავის საჭიროებისამებრ. ასე რომ ამიერ-კავკასიაში აზერბეიჯანმა, მაგალითათ თავის მოკავშირეებს უნდა აძლიოს ნავთი, რამდენსაც კი დაამუშავებს და საკუთარ საჭიროებას გადარჩება, ხოლო მეორე მხრივ სომხეთმა აზერბეიჯანიდანაც ნავთი უნდა მიიღოს და საქართველოს რკინისგზებით დაუბრკოლებრივ ისარგებლოს, მაშინ როდესაც მას, როგორც მწირსა და გაჭირვებულ მოკავშირეს, არ მოეთხოვება გაიღოს რაიმე თვალსაჩინო ფედერაციის სასარგებლოთ.

„ამ შემთხვევაში ხომ ფედერაციით მუდამ მარტო სომხეთი ისარგებლებს და ის ფედერაციას თავის მხრივ ვერავითარ ძალას ვერ შემატებს, პირიქით თავისი მუდმივი მოთხოვნით დ თავისი საჭიროების დაკმაყოფილებით მას დააქცევს". იტყვის ფედერაციის მოწინააღმდეგე.

ამის საპასუხოთ ჩვენ შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ.

პროლეტარული ფედერაცია წარმოადგენს ერთ ოჯახს, რომლის ერთერთი წევრი შეიძლება მცირე წლოვანი იყოს ან ავადმყოფი; მაგრამ ოჯახს საბუთი აქვს იმედი იქონიოს, რომ ეს წევრი მალე სრულ წლოვანი გახდება ან ავათმყოფი თუა, კარგათ შეიქნება და მაშინ მისი ძალღონეც ოჯახის საერთო საჭიროებას მოხმარდება. ამნაირათ ოჯახის ინტერესია მზრუნველობა გაუწიოს თავის უძლურ წევრს, ვიდრე ის საკუთარ ფეხზე არ დადგება და საერთო საქმეში საკუთარ წვლილს არ შეიტანს.

პროლეტარული ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს მხოლოთ ისეთი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც შესწევს საკუთარი ძალღონე საკუთარ საქმეებს თვითონვე გაუძღვეს და ა სახით იმედს იძლევა, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც განვითარების ისეთ დონეზე დადგება, როცა მას შეძლება მიეცემა საერთო საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

ასეთია დღეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სომხეთი და თუ დღეს იგი შეიძლებს საკუთარ საქმეებს თვითონვე გაუძღვეს და საბჭოთა სისტემა დაიცვას თუნდაც ფედერაციის მფარველობისა და დახმარების მეოხებით, ხვალ იგი უთუოთ შესძლებს იმასაც, რომ ფედერაციას თავის მხრივ დიდი სარგებლობა მოუტანოს.

ამიტომ სრულიათ უსამართლო და უსაბუთო იქნებოდა რომ ვისმე სომხეთისათვის უარი ეთქვა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში მონაწილეობაზე თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ დღეს მას იქეთ სჭირდება ყოველგვარი დახმარება და აქეთ კი არავითარი წვლილის შემოტანა არ ძალუძს, პროლეტარული სახელმწიფო მეწვრილმანე ჩარჩი როდია, რომ „ამხანაგს" წინდაწინვე გირაო მოთხოვოს და მხოლოთ ამ გირაოს მიხედვით ნდობა გაუცხადოს! არა, ის ნამდვილი პროლეტარული სოლიდარობით არის შემოსილი და ამხანაგებსაც პროლეტარული სოლიდარობით ჰმოსავს.

რაჟდენ კალაძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო გადასახადის გარშემო

სასურსათო გადასახადის მოკრება

სასურსათო სახალხო კომისარიატის ნობით 31 დეკემბრისთვის სასურ- ათო გადასახადი შეკრებილი იყო: რბალი—4225 ფუთი, ქერი—2283 ., 38 გ., სიმინდი—980 ფ., 35 გ., რთოფილი—3996 ფ, ლობიო—97 ., 17 გ., ჭარხალი—6 ფ., 7 გ., ხვი—244 ფ., 4 გ., ვაშლები—149 ., 30 გ, გოგრა—38 ფ. 3 გ., ერბო—27 ფ., 34 გ, ყველი—91 ფ. 26 გ., მატყლი—53 ფ. 38 გ.

გადასახადი საფქვავზე იმავ რიცხვისთვის შეკრებილი იყო:

ხორბალი—23 ფ., 31 გ., ქერი—124 ფ, 21 გ, სიმინდი—9 ფ., 18 გ., ხორბლის ფქვილი—323 ფ, 8 გ., ქერის ფქვილი—104 ფ., 28 გ, სიმინდის ფქვილი—96 ფ., 27 გ.

ტების კოდიფიკაცია და დაწესება საერთო უფლებრივი ნორმებისა რძო საკუთრების უზრუნველსაყოად როგორც რუსეთის ისე უცხო ყნების მოქალაქეებისათვის.

კრედიტების საკითხის შესახებ ნ. კრესტინსკიმ სთქვა: სახელმწიფო ტევებს თავის ხელში ბანკების მოოპოლიას. მაშასადამე, კერძო ბანების დაარსება რუსეთში შეუძლეელია. სახელმწიფო ბანკი ეყრდნობა რითად კაპიტალზე, რომელსაც მას ძლევს სახელმწიფო. ეს კაპიტალი ამოუკიდებელია და მთავრობას არ ეუძლია ფულის წაღება ბანკიდან. ენტრალურ ბანკს გარდა მოსკოვში რსებობს მისი ფილიალური განყოილებები სხვა ქალაქებში. რუსეთის მერსანტები აწარმოებენ მასთან ახლოველებულ დამოკიდებულებას. ახელმწიფო ბანკმა დაიწყო მოლაპარაკება საზღვარგარეთელ ბანკებთან ულების გადაგზავნის საკითხის შეახებ. ამნაირად საბჭოთა რუსეთის იერ დაწყებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა უშლის წინ საზღვარგარეთულ მრეწველობას და კაპიტალს დიდ პერსპექტივებს.

რუსეთი და გერმანია.

ლონდონი, 14 დეკემბერი. „დეილ ტელეგრაფი" სწერს: „უკანასკნელ ანებში ლონდონში ბევრს ლაპარაობენ რუსეთის გერმანიასთან და ერძოდ მძიმე ინდუსტრიის წარმოადგენლებთან მოლაპარაკების შეახებ. საფრანგეთის გაზეთები იტყოინებიან, რომ ამჟამად ბერლინში იმყოფება რამოდენიმე გამოჩენილი ოლშევიკური მოღვაწე, მათ რიცხვში არახანი, კრესტინსკი, რიკოვი და ორკი, რომელიც მიემგზავრებოდა ეუნში და ჩარჩა ბერლინში. იწება რუსეთსა და გერმანიის შორის ამოკიდებულების ორგანიზაციის არდა.

ბერლინი, 22 დეკ. გაზეთ „ფრეიეიტ" მოყავს რ. ს. ფ. ს. რ. საგაეო ვაჭრობის სახალ. კომისარიაის წარმომადგენელის ამხ. ლეჟავას მდეგი ცნობა: „განსაკუთრებით არგად ვითარდება ჩვენი სავაჭრო ამოკიდებულება გერმანიასთან. მე ოვახერხე შევათანხმება ერთ გერმანელ საბანკო ჯგუფთან, რომელმაც გაასტქვა თანხმობა მოგვცეს 200 მიიონ მარკის კრედიტი: სხვა გერანულ საბანკო ჯგუფებთან მოსაონებულია შეთანხმება 300 და 500 ილიონ მარკის კრედიტის მოცემის ესახებ; სულ მაშასადამე ჩვენ მოგვეემა 1 მილიარდ მარკის კრედიტი. რომ ოფიციალური გერმანია მზად რის ჩვენ შესახვედრად, სჩანს იქიან, რომ ბანკებმა, რომლებთანაც ვენ დავსდევით ხელშეკრულება, იღეს სახელმწიფო ბანკიდან თანხბა რუსეთის ვექსილების განაღდეის შესახებ. დაბოლოს ლეჟავამ აღნიშნა, რომ მარკის დაცემამ აიძულა ზოგიერთი გერმანელი ფირმები გაგვრიგებოდენ ჩვენ მხოლოდ მტკიცე ვალუტით,—დოლარებით და ინგლისურ გირვანქებით. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ მივაღწიეთ როგორმე შეთანხმებას, მაშინ გერმანია უნდა დაგვისწორდეს ჩვენ მტკიცე ვალიუტით.

რუსეთი საფინანსო კონფერენციაზე.

პარიზი, 30 დეკემბერი. (რადიო). „მატენ"-ის ცნობით საფინანსო კონფერენცია დახურდავების საკითხის შესახებ თებერვლის შუა რიცხვებში იქნება მოწვეული ჟენევაში. ამ კონფერენციამ უნდა დაარსოს საერთაშორისო ორგანიზაციების ინსტიტუტი ბანკის ბილეთების ემისიის შესამცირებლად და კონტროლის გასაწევად. ჟენევის კონფერენციაზე მოწვეული იქნება რუსეთიც, რომელმაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები თავის საემისიო—უფლებების შესაზღუდავად.

იტალია-რუსეთის ხელშეკრულებისათვის.

ბერლინი, 18 დეკემბერი. რომის გაზეთი „იდეა ნაციონალ" აღნიშნავს საფრანგეთთან იმ გართულებას, რომელიც აუცილებელი შეიქნება რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების შესრულების დროს. „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ამბობს გაზეთი, რომ საფრანგეთი, რომელმაც უარყო თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან, მოისურვებს მოითხოვოს თან ურთიერთობის აღდგენა არა თუ პოლონეთით, არამედ შავი ზღვითაც. ცნობილია რომ ამ ზღვის მდიდარი ნაპირები შეადგენს იტალიის დაუფლების მიზნებს. რომ პარიზი რომი გამოვიდენ მოსკოვში ერთი და იმავე პროგრამით, ეს უთუოდ გამოიწვევდა უთანხმოებას, რომელიც გამოიწვევს აგრეთვე უთანხმოებას საერთო პოლიტიკაში. საფრანგეთი ცდილობს უზრუნველყოს თავის ინტერესების გარანტიები. ასე მოქმედობს ის რუსეთის მიმართაც. ეს ჩვენ უნდა მოვითხოვოთ. მაგრამ თავის თავის უზრუნველყოფა რუსეთის მიმართ. ეს მხოლოდ პრობლემის ერთი მხარეა. კიდევ უკეთესი იქნება თუ იქნება საურთიერთო გარანტიის მიცემა. ასეთ საფუძვლებზე რუსეთის აღდგენა შეიძლება გახდეს დიდიხნით ევროპის პოლიტიკის ცენტრალური პუნქტი. ამ საერთო ინტერესის სხვა და სხვა მეთოდებით დაცვა ჩვენ შეუძლებელად მიგვაჩნია".

— „ნოვი მირი"-ს მოყავს ამონაწერი „იდეა ნაციონალ"-იდან და აღნიშნავს ახალი კავშირის აუცილებლობას რუსეთის სავაჭრო ბაზრის გამოსაყენებლად. იტალიის ნაციონალისტური პრესა მით უფრო დიდი ენერგიით იცავს ამ გეგმას, რომ იტალიის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა საშვალებას არ მისცემს მას გაუძლოს სხვა დიდი სახელმწიფოს კონკურენციას".

ინგლისის პრესა რუსეთის შესახებ.

ლონდონი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" სწერს: რუსეთი ცდილობს აღადგინოს თავისი სავაჭრო დამოკიდებულება უცხოეთთან და უხსნის ფართო სარბიელს უცხო კაპიტალს და კაპიტალისტურ წარმოების ჩვეულებრივ მეთოდებს. ეს არ უნდა იყოს ხელსაყრელი შემთხვევა იმ ერისთვის, რომელიც ყველაზე უწინ ისარგებლებს მით. მაგრამ რუსეთი უარს ამბობს საჭირო დახმარებაზე. ინგლისის ფირმები, რომელთაც სურთ იქონიოს საქმიანი დამოკიდებულება რუსეთთან თავს იკავებენ, რადგანაც ისინი ეჯახებიან იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც მათ წინ უყენებს ოფიციალური, წრეები, თუ ჩვენი მთავრობა ფიქრობს, რომ სანამ ჯერ დაიდებოდეს ახალი სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან უნდა დაკმაყოფილდეს მათი პრეტენზიებით, ვინც დაკარგა ფული რუსეთში, მაშინ იგი მოექცევა მოჯადოებულ წრეში. საუკეთესო საშუალება ძველი ვალების გადახდისა მდგომარეობს იმაში, თუ მივცემთ რუსეთს გადასახდელ საშუალების მიღების შესაძლებლობას.

კაპიტალიზმის სამყაროში

ინგლისი საფრანგეთის მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ლლოიდ ჯორჯის ორგანო „დეილი ქრონიკლი" მეთაურ წერილში ეხება ბრიანის გამოსვლას ვაშინგტონის კონფერენციაზე და „დიპლომატიურად" მაგრამ საკმაო სიმკაცრით არჩევს საფრანგეთის მილიტარიზმს. გაზეთი ამბობს, რომ მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებმა, ინგლისმა და იტალიამ შეამცირეს თავისი მუდმივი ჯარი, საფრანგეთს ჰყავს თოფ ქვეშ 835,000 კაცი, შავკანიანების გარდა. ბრიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ განზრახულია პარლამენტში შეტანილ ერთი კანონ-პროექტი, რომლის ძალით მოხდება სამსახურის ვადის შემოკლება, ასეთ განცხადებას „დეილი ქრონიკლი" არ აძლევს არავითარ მნიშვნელობას, რადგან შედეგათ მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ნელნელა თანდათან შემცირდება მუდმივი შემადგენლობა არმიის და სრულიად არ იქონიებს გავლენას მას რაოდენობაზე მობილიზაციის დროს. ამას უნდა მივუმატოთ, რომ საფრანგეთი ამზადებს მრავალრიცხოვან არმიას შავკანიანებისაგან, რაც არაერთხელ დადასტურებული ყოფილა საფრანგეთის ოფიციალური სააგენტოს, ჰავასის მიერ.

არჩევს რა ხაკითხს ხელშეკრულების შესახებ „გარანტიებზე" (იმ შემთხვევისთვის თუ საფრანგეთს თავს დაესხმიან), ინგლისის ოფიციოზი აცხადებს, რომ თუ საფრანგეთს მართლა გერმანელები დაესხმიან, მაშინ ინგლისი დაიცავს საფრანგეთის ხალხის თავისუფლებას. მაგრამ ამისთვის ხელშეკრულება არის საჭირო. როდესაც ბრიანი ლაპარაკობს გერმანიის განიარაღების შესახებ, ინგლისს სურს გაიგოს უფრო გარკვევით, თუ რას გულისხმობენ ამაში. „დეილი ქრონიკლი" იმ აზრს ატარებს, რომ საფრანგეთს უნდა ისარგებლოს გერმანიის უმწეო მდგომარეობით. შემდეგ საფრანგეთს საყვედურს უგზავნიან იმის შესახებ, რომ ის მხარს უჭერს ევროპის მშვიდობიანობისთვის სახიფათო ავანტიურას უნგრეთში.

ბრიანის მიერ გამოთქმულ აზრის შესახებ რუსეთზე, ოფიციოზი სწერს: „საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ მუდამ მტრული იყო, თუმცა ეს მტრობა ისეთი იყო, რომ ის ბევრად უფრო ამაგრებდა იმას, რის წინააღმდეგაც იბრძოდა ერთად-ერთი საშუალება საბჭოთა მილიტარიზმის (?) წინააღმდეგ საბრძოლველად არის რუსეთის დაშვება განათლებულ ხალხთა საზოგადოებაში. მაგრამ ამის წინააღმდეგ იბრძოდა და დღესაც იბრძვის უმთავრესად საფრანგეთი. აი რა მხრით უნდა გადაჰხედოს საფრანგეთმა თავის პოლიტიკას, თუ მას ნამდვილად უნდა მშვიდობიანობის შენარჩუნება".

ინგლისი

უმუშევართა ყრილობა ინგლისში.

მანჩესტერში გაიხსნა ინგლისის უმუშევართა სიეზდი. ორატორების უმრავლესობა ხაზს უსვამდა იმას რომ ერთად-ერთი რადიკალური ზომა უმუშევრობის წინააღმდეგ არის კაპიტალისტური წესწყობილების მოსპობა. „ჩვენ გვესმის, სთქვა ერთმა ორატორმა, ვინ არის ჭეშმარიტი დამნაშავე ჩვენ უმუშევრობაში და იძულებულს გავხდით მათ დახმარება აღმოუჩინონ უმუშევართ".

ბურჟუაზიული გაზეთების წარმომადგენელნი არ იქმნენ დაშვებული სიეზდზე.

კანის კონფერენციისათვის.

ინგლისის დელეგატები.

ბორდო. 3 იანვარი, (რადიო). 2 იანვარს კანაში მივიდნენ ინგლისის დელეგატები ბონარლოუ და ევანსი, ინგლისის სხვა დელეგატთა თანხლებით.

კანცლერ ვირტის აზრი.

ბერლინი. 3 იანვარი, (რადიო). კანცლერი ვირტი გაზეთ „ბერლინერლოკალ-აინცეიგერ"-ის მეთაურში აღნიშნავს, რომ კანის კონფერენცია დაგვანახებს თუ რამდენად გერმანიის მტრებმა შეიგნეს თავიანთი დამოკიდებულება გერმანიისაგან და გაიგეს თუ არა ბოლოს რამდენად საჭიროა ანტანტის ქვეყნებისათვის დასდოს მტკიცე ეკონომიური კავშირი გერმანიასთან. ვირტი აღნიშნავს: კანის კონფერენციის წევრები დაგვანახვებენ გულწრფელად სურთ მათ ზოგი თუ წინანდებურად სურთ მოითხოვს ის მტაცებლობის სისტემა, რომელიც ჯერ დაღუპავს გერმანიას, შემდეგ ჩააგდებს სიღარიბესა და საშიშროებაში მთელ ცივილიზაციურ მსოფლიოს. ვირტმა ხაზი გაუსვა, რომ საკითხი სდგას ევროპის ეკონომიურ არსებობის შესახებ და ამიტომ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ანტანტის დიპლომატები შეეცდებიან გვერდი აუარონ კატასტროფას.

მიულერის აზრი.

ბერლინი. 31 დეკ. (რადიო). ყოფილი კანცლერი სოციალდემოკრატი მიულერი „ფორვერტს"-ში სწერს, რომ კანის კონფერენციაზე გახსნილული იქნება ევროპის ეკონომიურ აღორძინების ახალი გეგმა. ამ გეგმაში აღნიშნულია საჭიროება გერმანიის მიმართ ყველა შეუსრულებელ მოთხოვნილებებზე უარის თქმისა. მიულერის აზრით ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც გვიჩვენებს, რომ ანტანტა დასდგა რეალურ ნიადაგზე კონტრიბუციის საკითხების შესახებ.

ქრონიკა

◆ **პირდაპირი მატარებელი მოსკოვიდან თბილისამდე.** 2 იანვარს, საღამოს 6 საათზე თბილისში მოვიდა პირველი პირდაპირი ჩქარი მატარებელი № 6 მოსკოვიდან 6 ვაგონის შემადგენლობით. მატარებლის შემადგენლობა 3 იანვარს ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე უკან გაგზავნეს. ჩქარი მატარებელი მოსკოვში ამას იქით ყოველ კვირა ივლის ხოლმე, სამშაბათობით.

◆ **უქმე დღეები იანვრის განმავლობაში.** იანვრის თვის განმავლობაში დაწესებულია შემდეგი უქმე დღეები: 1) ახალი წელი—1 დღე 1 იანვარს. 2 ქრისტიშობა—2 დღე 7—8 იანვარს. 3 ნათლიღება—1 დღე 19 იანვარს. 4) 1905 წლის 9 იანვრის დღე 1—22 იანვარს.

◆ **ახალი ჟურნალი.** გამოვიდა ახალი ჟურნალი საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო შემდეგი შინაარსით: 1) რედაქციისაგან, 2 მე 9 ყრილობა—**ბ. თემელი,** 3) კაპიტალიზმი რუსეთში და სოციალისტური რევოლიუცია—**დავ-განი,** 4) მოკლე მიმოხილვა ახალგაზრდათა ინტერნაციონალისა, 5) 20 ნოემბრის დღესასწაული თბილისში, 6) ახალგაზრდათა მოძრაობის წარმოშობა და მეორე ინტერნაციონალი **ქ. გორდელაძე,** 7) ახალგაზრდათა სოციალისტური განათლება—**დევდარიანი,** 8) ერმიტაჟი—**შ. ვ,** 9) გმირთა ფიცი (ლექსი)—**შ. ვ.** ფასი 5.000 მანეთი.

◆ **მოსახლეობის აღწერა.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება ქალ. თბილისის მოსახლეობის აღწერის შესახებ, დაადგინა წინასწარ მუშაობისთვის აღწერის საქმეში გადასდოს 10 მილიონი მანეთი.

◆ **შტატების გადიდების უარყოფა.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა უარყო შინაგან მმართველობის შუამდგომლობა ცენტრალურ სამისამართო მაგიდის შტატში 9 კაცის დამატების შესახებ.

◆ **აბანოს ნიხრის გადიდება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ა. წ. 1 იანვრიდან გაადიდოს აბანოთი სარგებლობის ნიხრი.

◆ **დეკრეტი შრომის და ურმის ბეგრის შესახებ.** შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დეკრეტის პროექტი შრომის და ურმის ბეგრის შესახებ. პროექტი წარედგინა საქართველოს რევკომს დასამტკიცებლად.

◆ **სამზადისი შრომისა და ურმის ბეგრის შემოსაღებად.** შრომის სახალხო კომისარიატის საბეგრო განყოფილებაში სასწრაფოთ ემზადებიან შრომის და ურმის ბეგრის შემოსაღებად. განყოფილება ადგენს წესრიგს, თუ როგორ გატარდეს ცხოვრებაში ეს ბეგარა, მის ნორმებს და მის გაწერის წესს. შრომის და ურმის ბეგრის შემოღებას აპირობენ 1922 წლის 1 თებერვლიდან.

◆ **ბრძოლა თოვლის ნამქერების წინააღმდეგ.** შრომის სახალხო კომისარიატის საბეგრო განყოფილებაში ადგენენ ღონისძიებებს თოვლის ნამქერების წინააღმდეგ ბრძოლის მოსაწესრიგებლად. გამომუშავებული ღონისძიებანი მალე იქნებიან ჩატარებული ცხოვრებაში.

თეატრი და ხელოვნება

მუშათა ცენტრალური კლუბი.

2 იანვარს მუშათა ცენტრალურ კლუბში პირველი წარმოდგენა გამართეს ახალ რევოლიუციონურ—მხატვრულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს პიესა „ტრაღედია იუდაზე, ისკარიოტელ პრინცზე". წარმოდგენის წინ დოქტორმა ლასკროროდუმოვმა წარმოსთქვა შესავალი სიტყვა, რომელშიც ნათლათ დაასურათა მითი და წარმოშობა ლეგენდისა იუდა ისკარიოტელის შესახებ. სკოროდუმოვის სიტყვამ და პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე. თეატრი იმდენათ გაჭედილი იყო ხალხით, რომ ყველა მსურველი ვერ დაიტია.

5 იანვარს იწყება დრამატიულ სტუდიის გამოცდები. განსრახულია ჩაწერილები გაყონ 2 ჯგუფათ: უფროს და უმცროს ჯგუფებათ.

დაამთავრეს გამოცდები მუსიკალურ სტუდიაში. მიიღეს დიდი—20, ბავშვი—10, სიმღერის კლასში—დიდი 10, სკრიპკის კლასში—10.

რუსთაველის თეატრი

ქართული დრამა.

ხუთშაბათს, 5 იანვარს, გაიმართება პირველი ქართული წარმოდგენა ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასებით (1000 მანეთიდან 10,000 მან.).

წარმოდგენილ იქნება პიესა „ქრისტინე" კვირას, 8 იანვარს, წარმოდგენილ იქნება მეორეთ პიესა „თამარ ცბიერი".

დღეს თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა: ჰუგენოტები.

რუსთაველის თეატრი:—ქართული წარმოდგენა.

რევ.-მხატვრული თეატრი—ფავნი.

სახალხო სახლი—ტრავიატა.

საკამერო თეატრი—დილით საბავშვო წარმოდგენა—მოჯადოვებული პრინცი. საღამოთი—სიმხური წარმოდგენა.

მუშათა ცენტრალური კლუბი—კონცერტი.

მუშათა ცენტრალური კლუბი. ახალი თეატრი—„ტარზანის" ახალი სერია.

წითელარმიის ცენტრალური კლუბი—წარმოდგენა.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—მრავალნაირი პროგრამა.

პროფ. კავშირთა საბჭოს კინო—მინიონი—ჟიუდექსის პირველი სერია

კინო არფასტო—გმირი მალიფერინი.

კინო ალკრე—კინო-კომედია.

კინო ჩერქეზიშვილის ქუჩაზე—კინო-კომედია.

სარკის კლუბი საქართველოს წითელ არმიისა—გადახდევინება.

სახალხო განათლების კომისარიატის კინო.

გამოუშვეს არსენ ჯორჯიაშვილის სურათის მეორე ეკზემპლიარი, რომელიც საქართველოს სახ. განათლების კომისარიატმა გაგზავნა მოსკოვში.

კინო-სექცია შეუდგა „მოძღვარის" სურათის დადგმას ყაზბეგის მოთხრობიდან. დასი სურათების გადასაღებათ ხევში წავა.

მწერალი შალვა დადიანი ადგენს სცენარის, რომელიც შეიცავს საქართველოს მთელ რევოლიუციონურ ისტორიას. ამ გრანდიოზული სურათის დადგმა მინდობილი ექნება ცნობილ კინო-რეჟისორს ვ. ვისკოვსკის, რომელიც მოწვეულია მოსკოვიდან და ჩამოვა აქ იანვრის გასულს.

წარმოების გასაფართოვებლად სასწრაფოდ შეუდგნენ ატელიეს და ლაბორატორიის გადაკეთებას. მუშაობას აწარმოებს სახელმწიფო შენობათა კომიტეტი.

ამზადებენ ყაზბეგის „მამის მკვლელის" სცენარის სურათებს გადაიღებენ იანვრის დამდეგს.

კინო-სექციამ მოიწვია ცნობილი ლაბორანტი ბრენერი, რომელიც მუშაობდა და მოაწყო ხანჟენკოვის ლაბორატორია მოსკოვში.

ერთგულ მეგობრებს

(საჯაოხური ხუმრობა)

ასე დავდივარ და დამაქვს
პროლეტარული ხალათი,
ჯიბე ფულით მაქვს ცარიელ
და სანოვაგით კალათი.

ქვეყანა უკმაყოფილო,
სახლში ცოლშვილი მშიერი...
არც მთლად ციური არსი ვარ
და არც მთლად ამ ქვეყნიერი.

სულით ამაყს და ქედმაღალს
სულ დამაქვს ქედი დახრილი:
ცხოვრების საზრუნავები
ლურსმნათ მაქვს ტვინში გაჩრილი!..

აღარ მშორდება თავიდგან
საგანი ჩემი ოცნების,
პატიოსანი შიმშილი
მშიერი პატიოსნების!..

ვიცი, როდესაც მოვკვდები,
ერთგულნი დამესევიან:
ხელად შემხვევენ სუდარით,
კუბოს ფასს შემეწევიან,

სამარედ მიწას გასჭრიან
შიგ ჩამიშვებენ ფრთხილადა,
ქვეყნად სიცივი მახრჩობდა,
იქ შემინახვენ თბილადა.

იქნებ, გვირგვინიც დამიწნან
და მიძღვნან თაიგულიცა,
იქნებ, მზე იმ დღეს შემამკონ,
ან ჰკიცხონ მოღუშული ცა!

სიცოცხლე ჩემი ადიდონ,
დაჰგმონ სიკვდილი ტიალი,
იმისდა მიუხედავათ,
მე რომლის მქონდა ტრფიალი...

ვიცი, რომ ამ დღეს ფულებით,
უთუოდ გაისარჯებით!
მოდი, ეს ეხლა მიზოძეთ,
რაკი რომ დაიხარჯებით:
გულში ცეცხლი მგოსნური
ორი დღით გამიგრძელდება
და შესამოსი ხალათიც
ასე არ დამიძველდება...

ონისიმე.

Коллекция
Ил. Федосеева
[illegible]

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა

ბათომის ნავთსადგურში

27 დეკემბერს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა სამი გემი: „ორგინი"—იტალიის. „დზერჟიკსკი" და „ჭოროხი"—საბჭოების, მოიტანეს 63013 ფუთი საქონელი და მოიყვანეს 213 მგზავრი.

28—29 დეკემბერს მოვიდა 7 იალქნიანი გემი 6076 ფუთ საქონლით. წავიდა 2 ორთქლმავალი გემი „მარიანინა" ტრაპიზონში 70 ტონი ნავთით და „დალმაცია"—კონსტანტინოპოლში 20 ტონი სხვა და სხვა საქონლით. წაიყვანეს აგრეთვე—45 მგზავრი. წავიდა 3 იალქნიანი გემი 443 ტონი საქონლით. საერთო რიცხვი გემების ნავთსადგურში არის შემდეგი: ორთქლით მავალი 8, იალქნიანი 89.

ფოთის ნავთსადგურში

23 დეკემბერს სოხუმში წავიდა ორთქლით მავალი გემი „ჭოროხი".

25 დეკემბერს მოვიდა გემი „მარშალ პლიუმერი" 279 მგზავრით.

შავი ქვის ექსპორტი უცხოეთში

პირველ გემის „რემნეის" შემდეგ, რომელიც მოვიდა ფოთში ოქტომბრის ბოლოს და რომელიც დაიტვირთა 7100 ტონი შავი ქვით დაპირებულ დროზე ხუთი დღით ადრე (დატვირთვას ესეთი ვადა არ ქონიათ ხოლმე ომის წინა დროშიაც). 25 დეკემბერს მოვიდა მეორე გემი ინგლისის კამპანიის „მარშალ პლიუმერი", რომელიც წაიღებს 5.000 ტონ მადანს. ჭიათურიდან ფოთში მადნის გადაზიდვა რკინის გზის სამართველოს მიერ უზრუნველ ყოფილია; ყოველ დღიურად იგზავნებან 45 ვაგონი ვ. ი. ისეთი რაოდენობა, რომელსაც დამტვირთავები ასწრობენ გადაამუშაონ. ამას გარდა ახლო მომავალში მოელიან კიდევ ამერიკის ორ გემს.

ტრანსპორტი

ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილების რეორგანიზაცია.

ს. ს. კ ს. ეკონომიურ განყოფილების სხდომაზე დაამტკიცეს საზღვაო ცენტრალურ ტრანსპორტის განყოფილების რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან.

განზრახულია რესპუბლიკაში სატრანსპორტო კანტორების ქსელის შექმნა, რომელთა ფუნქციაში შევა:

ა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებიდგან და კერძო პირთაგან გადასატანათ ტვირთის მიღება.

ბ) მიღება ტვირთისა რკინის გზაში მისაცემათ სათანადო საბუთის მიღებით რკინის გზიდან.

გ) მიღება ტვირთისა გადასატვირთავ ადგილებში, მათი გაგზავნა შემდეგ ზღვით ან რკინის გზით თანახმად ტვირთის პატრონის ჩვენებისა.

დ) დუბლიკატის პირდაპირ კასიდან მიღება.

ე) მიღება ტვირთისა რკინის გზიდან და მიტანა მათი ტვირთის პატრონის სახლში.

ვ) შენახვა ტვირთისა მათი, ზღვით ან რკინის გზით გაგზავნამდი.

ზ. შენახვა ტვირთისა პატრონის ჩაბარებამდე.

თ) შეტყობინება პატრონებისა მათი ტვირთის მოსვლის შესახებ.

ი) განთავისუფლება (საქციზო და საბაჟო წესების შესრულება ტვირთისა საქციზო და საბაჟოს გადასახადებისაგან და სხვ. პირველ რიგში სახელმწიფოებრივ საჭიროების გადაზიდვის დაკმაყოფილებით. ყოველ დღიურად შესაძლებელ რაოდენობის გადასაზიდ მანქანების გამოყოფით კერძო ბაზრისათვის.

დამყარებულია აგრეთვე ფასი სახელმწიფო წარმოების გადასაზიდავზე, რომლებიც უკვე გადავიდნენ კომერციულ ანგარიშზე.

ამას გარდა საზღვაო ცენტრალურ ტრანსპორტის განყოფილებას ნება მიეცა გახსნას სატრანსპორტო-საკომისიო კანტორები, როგორც რესპუბლიკის საზღვრებში, აგრეთვე ს. ს. რესპუბლიკებში სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც დამყარებულ ფასებში შეასრულებენ ყოველგვარ ტვირთის გაგზავნის დავალებებს, მიღება და გადაზიდვა ტვირთისა, როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კერძო პირთაგან.

ამ პირობებში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალური განყოფილება შესძლებს შეასრულოს მის მიერ დასახული მიზანი სატვირთო ავტო ტრანსპორტის აღდგენასა.

რკინის გზის სალაროში.

რკინის გზის უფროსის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელმა ლედერმა 31 დეკემბერს დეპეშით აცნობა ყველა უფროსებს: „მგზავრების გადასაყვან და ტვირთის გადასაზიდ ფასის 5000 მანეთამდე გამრგვალების გამო წინადადება გეძლევათ ამის მიღებისათანავე მოერიდოთ გზების კასსებში ფულის მიღების დროს 1000 მანეთზე ნაკლების მიღებას. ახლად მივაქცევ თქვენ ყურადღებას ძველი ფულის ნიშნების მიღების დაუშვებლობაზე და ვაფრთხილებ, სადგურიდან ასეთის მიღების შემთხვევაში, ესეთი ნიშნები დაბრუნებულ იქნება, დამნაშავეთ კი გადახდებათ იგი".

მრეწველობა

ჭიათურის შავიქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო".

23 დეკემბერს საზოგადოება „ჩემო"-ს წევრთა საერთო კრებაზე აირჩიეს საზოგად. საბჭოს თავჯდომარედ ი. ს. ზარაზიშვილი, დირექტორად კ. პ. თუმანოვი და ა. მ. ლარახველიძე.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა სადახლოში.

სატყეო—კომიტეტმა სასწრაფო ზომები მიიღო სადგ. სადახლოს მახლობლად არსებულ ყოფილ ეგზარხის ხე-ტყის სახერხავ ქარხნის შესაკეთებლად.

ამ სამუშევრის შესასრულებლად და გატაცებულ მასალის შესაგროვებლად სატყეო კომიტეტმა გაგზავნა სპეციალისტი. ქარხნის გადმოტანის მიზნისათვის კოლეგიამ დაადგინა მინართის ურმების შეგრებას ქარხნისათვის ახალი ადგილის გამონახვა დაევალა სატყეო კომიტეტის საწარმოვო განყოფილებას.

მომარაგების საბჭოს საწყობებში.

მომარაგების საბჭოს დამზადების განყოფილებას დაევალა დააჩქაროს დამფასებელი კომისიის მუშაობა, რომ აღწერა და დაფასება საქონლისა ყველა საწყობებში დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 15 იანვრისა.

კომისიას დაევალა: 1) საქონლის სწორი ნომენკლატურის დამაგრება, 2) მათი გაწესრიგება ბელლებში, გარდა მთავარი საწყობისა № 2, რომელშიდაც ეს მუშაობა დაევალა საწყობის გამგეს და 3) საქონლის რაოდენობის გამორკვევა, რის საფუძლადაც ღებულობენ საბუთებს ბელლის წიგნებიდან.

საქონლის რაოდენობის გასასინჯათ სარევიზიო კომისია აჩერებს საქონელს და ადარებს სასწორისათვის დანარჩენს ბელლის წიგნებთან.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტში.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ შესაძლებლად დაინახა გაერთიანოს მიწის გადამღები და გიდრო საამშენებლო განყოფილებები, ვინაიდან პირველი მათგანი უმთავრესად ემსახურება მეორეს. მიწის გადამღები განყოფილება დაექვემდებარა გიდრო საამშენებლოს.

მუშაობის შეთანხმებულობის გამო აღიარებულ იქნა საამშენებლო და ხუროთ მოძღვრების განყოფილებათა გაერთიანება. მიწის გადამღებ და ხუროთ მოძღვრების განყოფილებათა გამგეები განთავისუფლებული იქნებიან საერთო წესით.

საქონლის ფონდი.

ჩრდილო კავკასიაში დამზადებითი ოპერაციების საწარმოებლად მომარაგების საბჭოს კოლეგიამ დაადგინა გადასცეს რწმუნებულის განკარგულებაში, რომელიც იგზავნება ჩრდილო კავკასიაში აღნიშნულ ოპერაციების საწარმოებლად შემდეგი საქონელი:

50 მილიონი ქაბაი, 2 ფუთი პაპიროსის ქაღალდი, მთლად საწყობში დარჩენილი სახარინი. 200 ვედრო ღვინო, 100 ნაჭერი ნარმა, 100 წყვილი ქალის ჩულქები, 500 კოლოფი ფეხსაცმლის მაზი, 30,000 ცალი ნემსი, 20 გირვანქა ლილა. 50 დუჟინი სხვა და სხვა ძაფი, 200 ასანთი და მისი 1000 ქვა, 20 ყუთი წუმწუმა „ანანთი", 3.000 ბოთლი კონიაკი, 50,000 პაპიროსი „სოლიდნი".

პარტიული ცხოვრება

თბილისის მე-4 რაიონის მოქმედება ნოემბერში

პარტიულ მუშაობის საზოგადო მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. უჯრედების (იაჩეიკების) სხდომებმა და საზოგადოთ პარტიულმა სხდომებმა მიიღეს უფრო რეგულიარული ხასიათი. ზოგიერთმა უჯრედებმა მოახდინეს კრებები, სადაც ყველას შეეძლო დასწრება. ასეთმა კრებებმა მიიზიდეს უპარტიო მასსა (მაგალითად, სახელმწიფო პურის საცხობის, სახელმწიფო ოპერის, სახელმწიფო ფასიან ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის და სხვა).

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დროს გახსნილ იქმნა მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბი.

ყველა უჯრედებში და უმთავრეს წარმოებებში გააკეთეს მოხსენებები ახალ ეკონომიურ პოლიტიკასა და კოოპერაციაზე. ამ მოხსენებებს ისმენდნენ დიდის ყურადღებით; დამსწრეთა მიერ სურვილი იყო გამოთქმული მოესმინათ მოხსენებები სატარიფო და გადასახადთა პოლიტიკაზე, ეს სურვილი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იყო.

კამპანია ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ ჩატარებულ იქნა დამკრავ წესით; ყველა კრებებზე მიიღეს რეზოლიუციები ფედერაციის დიდი მნიშვნელობის შესახებ.

კამპანიამ კომუნისტურ ახალგაზრდობის და პარტიის კავშირის კვირეულის სასარგებლოთ შედარებით სუსტათ ჩაიარა, რადგან ეს კამპანია სწარმოებდა სხვა კამპანიებთან ერთათ, მათ მაინც ზოგიერთ უჯრედებში მოახერხეს და მოახდინეს შეერთებული სხდომები, აგრეთვე ორჯელ დააყენეს საკითხი პარტიის და კომ. ახალგაზრდობის კავშირის შესახებ რაიონის საზოგადო შეერთებულ კრებებზე.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში დიდის წარჩინებით ჩაატარეს საარჩევნო აგიტაციის 5 კრება.

ნოემბერში რაიკომის პრეზიდიუმს 2 კრება ჰქონდა. რაიკომის პლენუმის მოწვევა ვერ მოახერხეს, რადგან 7 წევრიდან 3 წევრი მთელი თვის განმავლობაში მუშაობდნენ პარტიის გამწმენდ კომისიაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მდივნების თათბირებს, რომლებზედაც წამოყენებულ იქმნა საორგანიზაციო მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ნოემბრის განმავლობაში ასეთი კრება იყო 6-ს. ამ თათბირზე აკეთებდნენ სისტემატიურ მოხსენებებს ადგილებიდან, არჩევდნენ თბილისის პარტიულ კომიტეტის ცირკულიარებს, აკეთებდნენ მოხსენებებს „მუშათა კოოპერაციაზე", „პარტიასა და პროფკავშირებზე", საბჭოს არჩევნებზე და სხვა.

ნოემბერში მოახდინეს 5 საზოგადო სარაიონო კრება, რომელზედაც წამოყენებულ იქმნენ საკითხები: „მუშათა კოოპერაცია", „ოქტომბრის რევოლიუციის შედეგები", „ქალაქის მეურნეობის მორიგი ამოცანები", „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია", „პარტია და კომუნისტ. ახალგაზრდობის კავშირი".

აირჩიეს ახალი სარაიონო კომიტეტი 9 წევრის და 3 კანდიდატის შემადგენლობით; ამას გარდა აირჩიეს დელეგატები საერთო საქალაქო კონფერენციაზე.

რაიონის რაოდენობით შემადგენლობაზე ჯერ ძნელია სწორე ცნობების მოცემა, რადგან განწმენდის შედეგები არ ვიცით ჯერ.

მეურნეობის მხრივ რაიკომმა ყურადღება მიაქცია მე-4 რაიონის ელექტრონის სადგურების კატასტროფულ მდგომარეობას და მელითონეთა ფრაქციის ბიუროსთან ერთათ დაადგინა მოახდინონ ცვლილება უ. ე. ს. ი. შტატებში, რაც დამტკიცებულ იქმნა თბილისის კომიტეტის მიერ და გატარდა ცხოვრებაში. რაიკომმა კავშირი გააბა მეჭედავეთა და მელითონეთა ფრაქციებთან. ნოემბერში სულ მოხდა უჯრედების 59 სხდომა. სხდომების ასეთი შედარებით მცირე რიცხვი აიხსნება პარტიის გაწმენდით, რაც ძლიერ უშლიდა ხელს უჯრედებს რეგულიარულათ გაემართათ სხდომები, და აგრეთვე უჯრედებთან მიჩენილ ამხანაგების უყოლობით.

ავტომობილების სახელოსნოების, ც. კ. სტამბის, ცეცხლის მქრობელ რაზმის, სახელმწიფო პურის საცხობის, ექსპედიციის, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის, სახელმწიფო ოპერის, საფაროვის თამბაქოს ფაბრიკის, ელექტრონულ სადგურების და ზოგიერთ სხვა წარმოებათა უჯრედები უფრო რეგულიარულათ იკრიბებოდნენ: 3—4-ჯერ თვეში და არჩევდნენ ადგილობრივ ხასიათის, სამეურნეო ცხოვრებით და აგრეთვე საორგანიზაციო ხასიათის საკითხებს.

ქალების განყოფილების მუშაობა ნოემბერში რამდენათმე გაძლიერდა. მან დაამყარა კავშირი ზოგიერთ პროფკავშირებთან და რაიონის უმთავრეს წარმოებებთან და მოახდინა აგრეთვე დელეგატების რამდენიმე კრება. ყველა წარმოებებში მოახდინეს დელეგატ ქალების არჩევნები, უპარტიო ქალთა კონფერენციაზე გასაგზავნათ.

—

კომპარტიის თბილისის მაზრის ორგანიზაციის პირველი ლეგალური ორგანიზაცია.

27 დეკემბრის სხდომაზე სამანდატო კომისია აცნობს კრებას კონფერენციის შემადგენლობას: მანგლისიდან 2 დელეგატი, წავკის რაიონიდან 2 დელ., ყარაიაზიდან 1, ალბულახიდან 2, საგარეჯოდან 2, მარტყოფიდან 2, ასურეთიდან 2, გარეუბნიდან 2, სართიჭალიდან 1, კოჯრიდან 1. ამათში გლეხია 7, მუშა 5, ინტელიგენტი 5. ეროვნულ შემადგენლობა: ქართველი 7, სომეხი 3, ნემეცი 1, რუსი 2, ალბანელი 1, ბერძენი 3.

შემდეგ მოხსენებებს აკეთებენ ამხანაგები: სუხიშვილი—ტფილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, მესხი—თფილისის რევკომის მუშაობის შესახებ, ხოლო ფიალკოვსკი სასურსათო გადასახადის შესახებ. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

29 დეკემბრის სხდომაზე საორგანიზაციო აღმშენებლობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. დონაძე, მოხსენების გარშემო აღძრულ კამათში შეეხნენ თფილისისა და მისი მაზრის კომიტეტების გაერთიანების საკითხს. ეს კითხვა ჯერ ჯერობით ღიად დარჩა, რის შესახებაც სათანადო რეზოლიუცია იქმნა მიღებული.

ვინაიდან ც. კ. წარმომადგენელი კრებაზე არ იყო, პრეზიდიუმის დავალებით საქართველოს მომავალ პარტიულ ყრილობისა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობის შესახებ მოკლე მოხსენებით გამოდის ამხ. ამირაგოვი.

ამიერ-კავკასიის კომპარტიის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებათ კონფერენცია ირჩევს: ამხაგებს: ტიგიშვილს, სუხიშვილს და მეგრელიშვილს.

საქართველოს კომპარტიის ყრილობისათვის კი ამხანაგებს: სუხიშვილს, ვოსკანოვს, კორინთელს, ჯაფარიძეს და ჯანელიძეს.

დაბოლოს კონფერენცია ირჩევს სამაზრო პარტიულ კომიტეტის წევრებათ ერთხმათ ამხანაგებს: სუხიშვილს, მეგრელიშვილს, ადამიძეს, ტიგიშვილს, ამირაგოვს, ჯაფარიძეს, მიროტაძეს, კორინთელს და ს. თალაკვაძეს. კანდიდატებათ სტუროს, დონაძეს და მირონინს. სარევიზიო კომისიაში—კაფაროვს, ჯანელიძეს და კიზიროვს, კანდიდატებათ ლეშინინს და ადიკაშვილს.

კონფერენცია დასრულდა ინტერნაციონალით.

შრომებითი პროფკავშირებში

ს. ს. ს. რ. პროფკავშირთა ყრილობისათვის

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებამ პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ გამგეობებს დაუგზავნა შემდეგი ცნობა:

1922 წ. პირველ თებერვალს დანიშნულია საქართველოს პროფკავშირთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმის შესახებ თქვენ ცირკულიარულად გეცნობათ.

ყრილობაზე გამოსაგზავნ დელეგატთა არჩევნები უნდა სწარმოებდეს პროფკავშირების საქალაქო განსაკუთრებულ კონფერენციებზე. ქალაქისავე კონფერენციაზე დელეგატებს ირჩევს აღებულ წარმოების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება.

გატყობინებთ რა ამის შესახებ, ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას გაძლევთ შეუდგეთ წარმოებებში საერთო კრებების მოწვევას, იმ ანგარიშით რომ დაამთავროთ ესეთები, არა უგვიანეს მიმდინარე იანვრისა. საერთო კრებები უნდა სწარმოებდეს ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენლის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც ევალება აგრეთვე გააკეთოს მოხსენება მომავალ ყრილობის მნიშვნელობის და საწევრო გადასახადის გადახდევინების წესის შესახებ.

წარმოებების საერთო კრების დღიურ წესრიგს შეადგენს შემდეგი:

1. ადგილობრივ კომიტეტების ანგარიშები.
2. ქარხნის მმართველობის ანგარიშები.
3. საწევრო გადასახადის შეკრეფის წესი.
4. სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის მნიშვნელობა.
5. კავშირის ქალაქის კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.

ქალაქის კონფერენციები მოწვეულ უნდა იქმნან 15 დან—25 იანვრამდე.

ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენლები ვალდებული არიან გააკეთონ მოხსენებანი მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე კრებისათვის გასაგებ ენაზე.

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ყურულაშვილი**, პასუხისმგებელი მდივანი **ტერ-არუთინოვი**.

—

კომუნალურ მეურნეობის კავშირი.

წარსულ ნოემბერში დიდ ყურადღებას აქცევდნენ კავშირის მიერ შეერთებულ წარმოებათა შემოსავლის გაძლიერებას და ქალაქის შემოსავლის ახალ წყაროების აღმოჩენას. სხვათა შორის გადასწყვიტეს, რომ კავშირების წევრთა მიერ აბანოებით უფასოთ სარგებლობის უფლება შეზღუდულ იქნას და მოიწონეს პროექტი სასაფლაოებზე ფასის გადახდევინების შესახებ.

ნოემბრის დამდეგიდან, ს. პ. კ. ს. დადგენილებით, კავშირის გამგებლობაში მელითონეთა კავშირისგან გადმოვიდა 22 ელექტრონის სადგური, რომელთაგან უმეტესობა არა მუშაობდა და ყველა მეტათ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

კავშირის ეკონომიურ განყოფილების მეცადინეობით ადამოვის ყოფილი სადგური აამოძრავეს (ორი მამოძრავებელი 80-85 ძალისა, ყორღანოვის ყოფილ სადგურზე რემონტს უკეთებენ 125 ძალიან დიზელს, შეუდგნენ დიდუბის და მადათოვის 1 სადგურების რემონტს; მადათოვის მე 2 სადგური აამოძრავეს; ავლაბრის სადგურის რემონტს ამთავრებენ.

შრომის დისციპლინის გასაძლიერებლათ 50 ამხანაგს სხვა და სხვა წარმოებებში წასახალისებლათ მიეცათ, როგორც ბეჯით მომუშავეთ, ტანისამოსი; სამი ამხანაგი მისცეს საამხანაგო დისციპლინარულ სამართალში; ოთხნი მაზუთის მოპარვისთვის დაითხოვეს, ხოლო მათი საქმეები ეცნობა სისხლის სამართლის მაძიებელ განყოფილებას.

მომარაგების სფეროში მუშაობა სწარმოებდა ინტენსიურათ. მოაწყვეს მომარაგების სექცია და რამდენიმე მყიდველი კომისია სურსათის შესაძენათ ახალციხისა, ბორჯომისა და ბელოგორის რაიონებში; კავშირის ყველა წარმოებები მოამარაგეს სპეციალურ საპონით, რიგ-რიგათ უნდა დაურიგონ 150 წყვილი ფეხსაცმელი, განაგრძობდნენ ტყაპუჭების დამზადებას 51 ცალი. განაწილეს ადგილკომებში მუშებსა და მოსამსახურეთა შორის ტანისამოსი, გაანაწილეს კავშირის წევრთა შორის ახალციხეში შეძენილი 5 ვაგონი კარტოფილი.

კულტურულ განყოფილების მოქმედება, გარდა მიმდინარე მუშაობისა, გამოიხატა 3 საბავშვო სახლის და ცეცხლის მქრობელ რაზმთან მე-2 საფეხურის სკოლის გახსნაში და 4 კულტ-უჯრედის ხელახალ არჩევაში.

მუშაობა შრომის მოწესრიგების სფეროში წარჩინებით მიმდინარეობდა. დეკემბრის დამდეგს კავშირის ყველა წარმოებათა მუშებმა მიიღეს პრემია; სულ 27 წარმოებამ მიიღო 1,950 კაცით, რაც შეადგენს კავშირის წევრთა საზოგადო რიცხვის ნახევარს.

შრომის მოწესრიგების განყოფილება ღებულობს ბეჯით ზომებს, რომ ნარდ მუშაობას ადგილებზე კანტროლი გაუწიონ.

—

მეთამბაქოენი.

მეთამბაქოეთა კავშირის საორგანიზაციო მოქმედება ნოემბერში გამოიხატა უმთავრესათ იმაში, რომ კავშირმა პრაქტიკულათ გაატარა ცხოვრებაში შტატების 25 პროცენტით შემოკლება 9 სახელმწიფო დაწესებულებაში.

სატარიფო-სანორმო განყოფილების მუშაობა გამოიხატა იმაში, რომ განყოფილება ზრუნავდა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ თამბაქოს და გილზის წვრილ კერძო ფაბრიკებზე. საანგარიშო ხანაშივე შეუდგნენ კოლექტიურ ხელშეკრულობის შემუშავებას.

თამბაქოს მრეწველობის სამეურნეო საფუძველზე გადასასვლელათ პრაქტიკულ ღონისძიებანი შემუშავებული იყო აგრეთვე ნოემბერში.

სხვათა შორის შეაფასეს ინვენტარი ნედლი მასალის და ფაბრიკატები ყოველ წარმოებაში ცალკე. შეფასება გაკეთებულია ოქროს ვალიუტით.

კავშირის წევრების მომარაგება გამოიხატა იმაში, რომ კავშირმა დაურიგა მათ: 1000 ხალათი, 130 ფუთი საპონი, შეძენილი თამბაქოს განყოფილების მიერ 61 მილიონ მანეთათ, 30 ბუშლატი დარაჯებს და სადილი აჭამა 2520 სულს.

კულტურული მუშაობა სწარმოებდა უმთავრესათ წ. კ. უცოდინრობის ლიკვიდაციის სფეროში. დაარსებულია 2 ახალი სკოლა, გამოუშვეს სიელანოვის ფაბრიკასთან არსებულ წერა-კითხვის სკოლიდან მოწაფე-მუშები.

მეთამბაქოეთა მუშათა სახლთან გახსნილია ბიბლიოთეკები-სამკითხველოები.

ხელოვნების მუშაკთა კავშირი

სახელმწიფო ოპერის და დრამის შტატების შემოკლება დამთავრებული იყო ნოემბერში და მაშინვე დამტკიცებულ იქმნა ცენტრალურ საშტატო კომისიის მიერ. შტატების შემოკლების დროს ბეჯით ყურადღებას აქცევდნენ თეატრალურ საქმის მხატვრულ ღირებულების დაცვას.

ამავე დროს გადაწყვეტილ იქმნა შემდეგი საკითხები: ზოგიერთ თეატრალურ საქმეების დეცენტრალიზაცია, მუშებისთვის უფასო ბილეთების მაგიერ იაფფასიან წარმოდგენების გამართვა, კოლექტივების მოწყობა და შრომის მარკებით ანაზღაურების შემოღება იმ წარმოებებში, რომლებიც მუშაობენ კოლექტიურ საფუძველზე.

მაგარი ტარიფი ნოემბერში გატარებულია 20 წარმოებაში, რომლებშიაც ითვლება 1066 მუშა და მოსამსახურე.

ხელოვნების მუშაკთათვის კოლექტიური პრემიების მიცემა დაიწყო ოქტომბრის დამდეგიდან. ხელოვნების მუშაკთა საერთო შრომის გასამრჯელო ნოემბერში ადიოდა 46.000 მანეთიდან 2.000,000 მან. თვეში.

პირველ დეკემბრისთვის კავშირში ითვლება 1613 კაცი.

ნოემბრამდე მუშათა ძალის აღმრიცხველმა კომიტეტმა მოაწყო 17 კონცერტი, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს მომუშავეებმა და უმუშევრებმა—92 კაცმა. ამ კონცერტების შემოსავალი ავიდა 5 მილიონ მანეთამდე.

საბჭოთა მუშაკნი.

კავშირის საორგანიზაციო მუშაობა ნოემბერში გამოიხატა უმთავრესათ შემდეგში: მან გამოიკვლია ადგილკომები თბილისში და მათი რიცხვი 82 დან დაიყვანა 60 მდე, ორი კონფერენცია მოიწვია თბილისში და რამდენიმე ადგილებზე.

კავშირის ეკონ. განყოფილება უმთავრესათ შტატების მოწესრიგებას აქცევდა ყურადღებას. მან გამოიკვლია მუშა ძალის აღმრიცხველი განყოფილება, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ქალაქის სოციალ-უზრუნველყოფის განყოფილება, შრომის სახ. კომისარიატი, იუსტიციის კომისარიატი, მუშურ-გლეხთა ინსპექციის კომისარიატი, ქალაქის მუშურ-გლეხურ ინსპექციის კომისარიატი, ს. მ. უ. ს., საგარეო საქმეთა კომისარიატი, მომარაგების საბჭო და სხვა. ამ გამოკვლევის დროს ადგილებზე იწვევდნენ ხოლმე თათბირებს.

რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, იგი გამოიხატა შემდეგში: კავშირმა მოიწვია კულტ-უჯრედების („იაჩეიკების") ორი კონფერენცია, აწარმოებდა სასტუდიო მუშაობას კლუბში, გახსნა პროფტექნიკური კურსები, სადაც ასწავლიან მანქანაზე წერას და სტენოგრაფიას. გახსნა ორი აგიტ-პუნქტი და რამდენიმე მოძრავი ბიბლიოთეკა.

შრომის დაცვის განყოფილებამ, რომელიც დაარსდა მხოლოთ ოქტომბერში, შექმნა კომისიები შრომის დასაცველათ ყველა ადგილკომებთან. კავშირის ყველა უწლოვანი წევრები აღრიცხეს და ხელახლათ შეამოწმეს.

სამთო-მადნის მუშები.

სამთო-მადნის მუშები არიან ტყიბულის და გელათის მაღაროებში,—მათი სარაიონო სამმართველო იმყოფება ტყიბულში და შემდეგ წარმოებებში: ჭიათურის შავი-ქვის სააქციო საზოგადოებაში, ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოში კავკასიის მადნის ამხანაგობაში, დეპრეს დამხ. შავი ქვის მრეწველთა ფორმაში ამათი საერთო სარაიონო სამმართველო იმყოფება ჭიათურაში. შროშას ქარხანაში არსებობს ქარხნის კომიტეტი, ხოლო ქანდარას მაღაროებში—მადნის კომიტეტი, მათი სარაიონო მმართველობა არსებობს ძირულაში.

სარაიონო, სამმართველო ჭიათურაში შესდგება მუშებისა და მოსამსახურეების რწმუნებულებისგან, რიცხვით 21. რწმუნებულთა ინსტიტუტი შემოღებულია იმის გამო, რომ იქ არსებობს დიდძალი წვრილი განცალკევებული წარმოება, სადაც მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი თითოში უდრის 6-15 კაცს, რომელთაც ნორმით ადგილკომების ყოლის უფლება არა აქვთ.

კავშირის ეკონომიურმა განყოფილებამ გამოიკვლია ეს წარმოებები და დაამტკიცა შრომის ქარხნის შემოსავლიანობა; ამიტომ კავშირმა წამოაყენა საკითხი, რომ [illegible] ბულ იქნას [illegible] ბაზე და გადავიდეს სამეურნეო საფუძველზე.

ეკონ. განყოფილების ცნობებით, წარსულ ნოემბერში ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის გამოღება ყოველ დღე საშუალოთ უდრიდა 9,000 ფუთს. ძირულაში ყინვებისა და ღუმელების ძლიერი გაციების გამო, თიხის გამოღება და აგურის გამოწვა შეჩერდა, მაგრამ ალიზის მომზადება და მიმდინარე რემონტი წესიერათ მიდიოდა. ნავთის სამრეწველოებში იკვლევდნენ მადანს.

შრომის მომწესრიგებელმა განყოფილებათ დაამზადა მასალები შრომის მოსაწესრიგებლათ კერძო წარმოებებში, რომლებიც გაჩნდებიან სამთო მადნო მრეწველობის დარგში რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგალითათ, შემუშავებულია პროექტი კოლექტიურ ხელშეკრულებისა, პირობები იმ წარმოებებში, რომლებიც სამეურნეო საფუძველზე გადადიან და რჩებიან სახელმწიფო მომარაგებაზე.

მეტყევენი.

მუშაობა ტარიფიკაციის სფეროში ნოემბერში გამოიხატა შემდეგში: შეიმუშავეს და წარუდგინეს ს. პ. კ. ს. მეტყევეთა ნარდ მუშაობის ცხრილი.

რაც შეეხება შრომის დაცვას, აქ დაარსებულ იქმნენ ყველა წარმოებებში უკლებლივ შრომის დაცვის უჯრედები და შემოღებულ იქმნა მცირეწლოვან მუშათა ჯანმრთელობის შემოწმება.

მკვებავ-ქიმიკოსები.

ნოემბერში დაიწყო სამზადისი მუშაობა მკვებავ-ქიმიკოსების და მეთამბაქოეთა კავშირების შესაერთებლათ, აირჩიეს ორი ქარხნის კომიტეტი და ხელახალი არჩევანი მოახდინეს 4 კომიტეტისა. ნოემბრისთვის მკვებავ-ქიმიური მრეწველობა უკვე გადაყვანილ იქმნა სამეურნეო საფუძველზე. ნოემბერშივე ადგენდნენ ყველა იმ წარმოებათა სიებს, რომლებიც რჩებიან სახელმწიფოს ხელში, ერთათ უყრიდნენ თავს მსხვილ ქარხნების ფაბრიკატებს და ხწმენდნენ ამ წარმოებათა შტატებს.

ავჭალის შუშის ქარხანამ დაამზადა თავის ნაწარმოების პირველი პარტია.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—ბანის ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ბეჭდვითი სიტყვის ცენტრ-ბიუროსაგან

I

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი ნაწარმოების გამავრცელებელ ცენტრბიურო აცხადებს პროვინციის ყოფილ აგენტების, მეგაზეთეების, რკინის გზის კიოსკების გამგეებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ თანახმად საქ. საბ. სოც. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი" № 250), საჭიროა პროვინციის ქალაქებსა და დაბებში ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა-გასავრცელებლად კონტრაგენტები, რომლებიც დეკრეტის მე-5 მუხლის თანახმად ამ თანამდებობაზე მიიღებიან ადგილობრივი პარტიული კომიტეტის და რევოლიუციონურ კომიტეტის რეკომენდაციით. დანარჩენი სავალდებულო პირობები, ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა-გავრცელების პროვინციელ აგენტებისათვის გათვალისწინებულია დეკრეტის სათანადო მუხლებში.

აგენტობის მსურველებმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ სათანადო განცხადება პირობების აღნიშვნით ცენტრ-ბიუროში (რუსთაველის პროსპექტი № 11).

II

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი ნაწარმოების გამავრცელებელი ცენტრბიურო ამით აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების, პროფკავშირების, პარტიული ორგანიზაციების და კერძო ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ 1922 წლის 1 იანვრიდან, თანახმად საქ. სოც. საბ. რევოლ. კომიტეტის № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი" № 250), იწყება ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა. ყველა აღნიშნულ დაწესებულებებმა, ორგანიზაციებ და კერძო პირებმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ ცენტრბიუროში (რუს-თაველის პრ. № 11 ცნობა თუ რამდენი ცალი ამა თუ იმ გაზეთისა უნდა გაეგზავნოს მათ, განცხადების მიუღებლად გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბეჭდვითი სიტყვის ცენტრბიურო.

სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან

აბრეშუმის ნაწარმოებზე მონოპოლიის მოხსნის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, სახალხო სასურსათო კომისარიატი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ს. ს. ს. რ. რევ. კომ. დეკრეტი № 45 17 ივნისი 1921 წ. თარიღით აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმზე, ფრიზონზე, ფრიზონეტზე და ნართზე, მონოპოლიის შესახებ, რჩება ძალაში.

სახალხო სასურსათო კომისარის მოადგილე: **ერქომაიშვილი**.

კოლეგიის წევრი, საორგანიზაციო ცენტრის გამგე: **მელნარსკი**.

საქმეთა მმართვ. მოვალეობის დროებით აღმასრულებელი: **დიდიძე**.

პარტიული

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება ს უნივერ. „იაჩეიკას" მორიგი კრება.

კომიაჩეიკის ბიურო.

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა